№ 118

პარასკევი, 15 ივლისი

1877—1905

№ 118

პარასკევი, 15 ივლისი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922

საჯარო ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакцiя газ. „Иверiа“.

გლახა და თებრო აბულაძეები, **ლუბა გლახას ასული ფოლადოვისა**, **ოლგა გლახას ასული იორდანიშვილისა**, **ნინო გლახას ასული ხრიკულოვისა**, **სანდრო გლახას ძე აბულაძე და შაქრო გიორგის ძე იორდანიშვილი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—ძვირფასის შვილისას, მეორენი—ძმისას და უკანასკნელი—სიმამრიშვილის

გიორგი გლახას ძის აბულაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე. არღუთინსკის ქუჩა, სახლი არქიეპისკოპოსოვისა № 60. გასვენება კვირას, 17 ივლისს, ანჩისხატის სობოროში. დაკრძალვა პეტრე-პავლის სასაფლაოზე.

(1—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინეგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. **გძელიშვილი**.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардiана**. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიხამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

პასუხის მაგიერი

ვინ არ იცის ახლა, რომ გლეხი ყოველთვის და ყოველ დროს გაჭირებული იყო და დღეს მისმა გაჭირებამ შესამჩნევად იმატა? ვინ არ იცის, რომ არისტოკრატიის ინტერესი სხვაა, გლეხობისა—სხვა? ვინ არ იცის, რომ ის ნაწილი არისტოკრატიისა, რომლის მიწითაც გლეხი სარგებლობს, გლეხს ყოველის მხრით ავიწროებს? ვინ არ იცის დღეს, რომ ცხოვრება კლასთა ბრძოლაა? ყოველივე ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, და ამიტომ საკვირველიც იქნებოდა, გამოვმდგომოდი გაზეთის ფურცლებზე და დამეძახა: შემომხედეთ, რა ბიჭი ვარ, რა დიდ სიბრძნეს გასწავლით-მეთქი! მაგრამ ხონში გამოჩენილა რამოდენიმე ფილოსოფოსი, რომლებიც ამ საანბანო ჭეშმარიტებით ყოყოჩობენ!

დღევანდელ აგრარულ მოძრაობას მე არ ვაძლევდი და არც ახლა ვაძლევ იმგვარ მნიშვნელობას, როგორსაც ზოგიერთნი აძლევენ; მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი აგრარული მოძრაობა ვერ მიანიჭებს გლეხს იმ მატერიალურ კმაყოფილებას, რომელსაც ბევრი გამოელის ამ მოძრაობიდან. მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს იმ ფაქტს ჩვენს ცხოვრებაში, რომ თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გაღატაკებულია იმდენად, რომ თვითონვე ამუშავებს თავისს მიწას და სხვებისგანაც იღებს სამუშაოდ. ამიტომ სამეოთხედოდ აიღებს თუ სამეათედოდ გლეხი მიწას იმ თავადებისა და აზნაურებისაგან, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ საკმაო მიწა,—ეს ბევრით ვერაფრით წასწევს წინ გლეხის ღარიბ ქოხს.

სანამ მიწა კერძო საკუთრებად დარჩება, რაც უნდა ებრძოლოს გლეხი თავად-აზნაურობას, ამით ის საწადელს მიზანს ვერ მიაღწევს,—ხსნა მხოლოდ მიწის გასაზოგადოებრივობაშია: მიწა უნდა გახდეს საზოგადოების კუთვნილებად და სასარგებლოდ უნდა მიეცეს მხოლოდ მიწის მუშას. დღევანდელი აგრარული მოძრაობა კი მიწის გასაზოგადოებრივობას ვერას გზით ვერ დაამყარებს. ამ ცვლილებას მხოლოდ პოლიტიკურის უფლებებით აღჭურვილი და წელში გამაგრებული პროლეტარიატი მოახდენს. ამიტომ, ვიმეორებ, დღევანდელ აგრარულ მოძრაობაზე მე არაოდეს არ ვამყარებდი და არც ახლა ვამყარებ დიდ იმედებს. ჩემს თვალში გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ პოლიტიკურ მოძრაობას: დაჩაგრულმა ნაწილმა საზოგადოებისამ ჯერ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი და მხოლოდ შემდეგ შეეძლება მას სოციალურ ცვლილებათა მოხდენა. ბიუროკრატიის დამარცხებას ჩემს თვალში ყველა კლასებისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, მეტი მნიშვნელობა აქვს გლეხებისათვისაც, ვიდრე ერთ მუჭა მდიდარ თავად-აზნაურების დამარცხებას. აი, ამიტომ ვუჩიჩინებ გლეხს, ბ ვის წინააღმდეგ უნდა მიმართოს მან მთელი თავისი ძალ-ღონე. თხის კუდს მე თხა მირჩევნია და ბევრს კი სხვაგვარი გემოვნება ჰქონია! ამით მე აგრარულ კითხვის ჩაფუჩეჩება კი არა მწადია, არამედ მეტ ყურადღებას ვაქცევ მას, რაც უფრო მეტის ყურადღების ღირსად მიმაჩნია.

ხონის ფილოსოფოსები ისე მსჯელობენ დღევანდელ წოდებრივ ურთიერთობაზე, თითქო ჩვენში ჯერ ისევ ბატონ-ყმობა არსებობდეს. მათის აზრით, ამ ორ კლასს შუა უშველებელი ორმოა გათხრილი, რომლის ნაპირზედაც „პირის პირ წამომჯდარან აზნაური და გლეხი, როგორც შეძლებული, უპირატესობით აღჭურვილი, და შეუძლებელი, მონად გადაქცეული“. მათის აზრით, ვინც აზნაურია, ის ფეოდალია; ვინც გლეხია, ის ყოველთვის შეუძლო მონაა. აქ ძალიან დიდი შეცდომაა და იმიტომაა შეცდომა, რომ ზოგიერთ ადამიანს მუდამ ენაზე აკერია გაზეპირებული ფრაზები და თვით ცხოვრებაში კი არ იხედება.

ხონის შვიდ ფილოსოფოსს თოთხმეტ თვალის მაგიერ ორი რომ მაინც გაეხილა რიგიანად, მაშინ დაინახავდნენ, რომ თვით ხონში ბლომად არის ისეთი აზნაური, რომელიც თავის ეკონომიურ მდგომარეობით ღატაკ გლეხს უფრო უახლოვდება, ვიდრე ძველებურ ფეოდალს, და, სამაგიეროდ, ბევრია იმავე ხონში ისეთი გლეხი, რომელიც თავის ეკონომიურ მდგომარეობით და ინტერესებით სრულებით აღარ ეკუთვნის გლეხობას. იგივე სურათი იშლება ჩვენი თვალის წინ ჩვენის ქვეყნის ბევრ სხვა კუთხეშიაც. დიდი ნაწილი ჩვენის აზნაურობისა იმდენად გაღატაკებულია, რომ მას ჭადი ენატრება ხშირად, ჭადი,—მე ნახულს ვამბობ და არა გაგონილს,—და ამისთანა აზნაურებს ხონის ფილოსოფოსნი და „მოგზაური“ ეუბნებიან: თქვენ ფეოდალები ხართო!

მაშ რაშია საქმე?

აი, რაში:

თავად-აზნაურობა დღეს აღარ წარმოადგენს ერთ მთლიან წოდებას, ისე, როგორც გლეხობაც აღარ წარმოადგენს ერთ მთლიან წოდებას. ერთმა ნაწილმა თავად-აზნაურობისამ დღემდე შეირჩინა ქონება; ეს ნაწილი ავიწროებს გლეხობას, ბევრგან საშინლადაც ავიწროებს, და, აი, სწორედ ამასთან აქვს გლეხობას საქმე... მეორე ნაწილი თავად აზნაურობისა, და უმთავრესად აზნაურობისა, სრულებით გაღატაკებულია: მას არც დროებით ვალდებული გლეხი გააჩნია, არც გასაცემი მიწა აქვს,—თვითონვე ამუშავებს თავის მიწას ისე, როგორც მისი მეზობელი გლეხი, და ისევე მშიერია, როგორც ეს გლეხი. ერთი მიბრძანეთ, ამ ნაწილთან რა აქვს გლეხობას საბრძოლველი ეკონომიურ ნიადაგზე?

თუმცა თავად-აზნაურობის ეს ნაწილი ქონებით გაგლეხკაცებულია, მაგრამ მას მაინც პრივილეგიები აქვსო,—იტყვის ვინმე. მერე ეს პრივილეგიები კუჭს უძღობს ღარიბ აზნაურობას? ამ პრივილეგიების მოსპობა ადვილია: თუ კი გლეხობა შეიამხანაგებს ღარიბ ნაწილს თავად აზნაურობისას ყოველგვარ საქმეში, ეს ნაწილი თვითონვე განაცხადებს უარს ამ პრივილეგიებზე, რომელსაც მისთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. მეორე მხრივ, თვით გლეხობაში ჩაისახა და თანდათან იზრდება ის ჯგუფი გლეხობისა, რომელიც თავის ქონებითა და ინტერესებით თანდათან ბურჟუავდება და ამით სრულებით შორდება გლეხობას. ამიტომ დღეს შეცდომა იქნება, რომ წოდება დავუპირდაპიროთ წოდებას, აზნაური გლეხს, როგორც ამას ჩემი მოკამათენი სჩადიან. ჩემის აზრით, უნდა დავუპირდაპიროთ ღარიბი მდიდარს, დაჩაგრული დამჩაგვრელს. მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ ღარიბის გლეხობისა და ღარიბის აზნაურობის შუა აღარავითარი გაუვალი ორმო აღარ არსებობს,—ქონებით ისინი სწორნი არიან და, მაშასადამე, მათი შეერთებაც შესაძლებელია საერთო კეთილდღეობის მოსაპოებლად. მათ ერთმანეთს ხელი კი არ უნდა ჰკრან, უნდა შეერთდნენ და საერთო ძალ-ღონით ხელი უნდა ჰკრან იმათ, ვინც მათს კეთილდღეობას წინ ეღობება. ხოლო თავის-თავად ცხადია, რომ ამათ არაფერი საერთო არა აქვთ გაბურჟუებულ გლეხებთან და მდიდარ თავად აზნაურობასთან. გლეხი უნდა ებრძოლოს დამჩაგვრელს,—სულ ერთია, გლეხი იქნება ეს უკანასკნელი, თავადი თუ აზნაური; გლეხი უნდა შეუერთდეს ყველა მასავით ღატაკსა და დაჩაგრულს, სულ ერთია, გლეხი იქნება ეს უკანასკნელი, თავადი თუ აზნაური, თუ რომ ორივეს ინტერესი მოითხოვს ამ შეერთებას.

დღეს ქარხნებში მუშა-აზნაურები ბლომად არიან. გლეხი რომ იმ გზას დაადგეს, რომელიც ჩემს მოკამათეებს მიაჩნიათ ერთად-ერთ უტყუარ გზად, მაშინ ქარხნის მუშამ—გლეხმა—ხელი უნდა ჰკრას ქარხნისავე მუშას—აზნაურს: დაიკარგე აქედან, რა მაქვს შენთან საერთო, შენ აზნაური ხარ, ფეოდალი, და მე კი—გლეხიო. ის რომ ფეოდალი აღარ არის, ცხადია, რადგანაც გლეხებთან ერთად ერთის ქარხნის ჭერქვეშ მუშაობსო,—მიპასუხებენ. დიაღ, მეც ამას მოგახსენებთ, ბატონებო! საქმე იმაში კი არ არის, გლეხი ჰქვიან სახელად ამა თუ იმ კაცს თუ აზნაური; საქმე იმაშია, თუ ვინ როგორს მდგომარეობაშია. ქარხნის მუშა-აზნაური ჰირსა და ლხინში ძმა და ამხანაგია ქარხნის მუშა-გლეხისა, მათს შეერთებასა და ერთად მოქმედებას ხელს აღარ უშლის ის გარემოება, რომ ისინი ჯერ კიდევ სხვადასხვა წოდებას ეკუთვნიან.

ის აზნაური—მიწის მუშა, რომელსაც ცალი ცერი დახეულ წუღაში გამოუყვია, ცალი ნიდაყვი დახეულ ჩოხაში და თავის ორ კვალ მიწას თითონვე ამუშავებს, თავის მდგომარეობით უკვე გლეხია და არა ფეოდალი, როგორც ხონის ფილოსოფოსები ნათლავენ მას, და ამიტომ მისი და მის გვერდში მდგომ გლეხის შეერთება, ჩემის რწმენით, სასურველიც არის და შესაძლებელიც. ამგვარი შეერთება უკვე ხდება ცხოვრებაში,—ის არ წარმოუშობია ჩემს ქადაგებას და ველარც მოსპობს მას ხონის ფილოსოფოსების ღაღადი. ის წარმოშობა თვით ხალხის შეგნებამ.

მე არ მეშინია ხალხის შეგნებისა, ხონის ფილოსოფოსნო, მაგრამ თქვენ კი უნდა გეშინოდეთ. ხალხის შეგნებას ის ნაყოფი მოჰყვა, რომ თქვენ (მე აქ სახეში მთელი პარტია კი არა მყავს, არამედ „უმრავლესობა“, რომელსაც ხონის ფილოსოფოსები ეკუთვნიან) უკვე დაჰკარგეთ ამ ხალხის ნდობა და ახლა ტყუილად ებღაუჭებით მას. შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ეს ხალხი თქვენს პოზიციაზე მდგარ პირებს დაუძახებს: მომშორდითო, და ამიტომ აჩქარებულხართ, დიპლომი რომ გამოგიგზავნიათ ჩემთვის,—თქვენ თვითონ დაგჭირდებათ მალე.

ორიოდე სიტყვა თვით „მოგზაური“-ს რედაქციას: ვთქვათ, მე ამ კითხვაში მართალი არა ვარ, ვცდები. ნუთუ ჩემის წინანდელ ნაწერებით იმდენი ნდობაც კი ვერ მოვიპოვე რედაქციისა და ჩემის ამხანაგების თვალში, რომ პირველის შეცდომისათანავე მოღალატეობა არ დაეწამებინათ ჩემთვის და არ დაეყვირათ: ვიცით, ვისთანაც გვაქვს საქმეო?! თვით მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ახასიათებს ეს რედაქციას.

ი. გომართელი.

◆

ფედერალიზმი და ავტონომია

ზ. ავალიშვილისა

აქ საჭირო არ არის შევეხოთ ისეთ კითხვებს, როგორიც ირლანდიელების ჰომრული არის ან ველეპოლსკისაგან შემუშავებული პოლონეთის ავტონომიის პროექტი,—საკმარისია შევნიშნოთ მხოლოდ, რომ უმთავრესად საძნელო ყოფილა ყოველთვის ამა თუ იმ ადგილის თავისებურობის და მთელ სახელმწიფოს მთლიანობის გამაცალკევებელ საზღვარის მონახვა. კულტურულ პირობების გავლენით ეს საზღვარი აქეთ-იქით იწევა ხშირად.

რასაკვირველია, თვით იმ საკითხის წამოსაყენებლად, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს თვითგამორკვევის კანონიერი წრე მთლიან სახელმწიფოს რეჟიმისაგან,—საჭიროა, რომ აღიარებული იქმნეს ადამიანისა და ხალხის ძირითადი უფლებაც.

მაგრამ იქაც, სადაც ხალხი და მთავრობაც ლიბერალ აზრებით არის გატაცებული, იქ, სადაც ადამიანი თავის ნებით აცხადებს უარს ძალმომრეობასა და სხვის დაჩაგვრაზე,—ზოგიერთს მაინც ეშინიან, რომ ავტონომია და საამისო რეფორმა სახელმწიფოს მთლიანობას შეარყევს და მის ძირითად ინტერესებსაც დაარღვევს შემდეგში.

უმეტესობა, თვით თავისუფლების მოტრფიალენიც, ვერ შორდებიან წინანდელ ცრუმორწმუნეობას, ვერ შორდებიან რაღაც ბატონობის შეხედულებას სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილზე და მას უყურებენ, როგორც სახელმწიფოს საკუთრებას. ან ხშირად აცხადებენ, ამ ხალხის ინტერესები უნდა დავიცვათო, და ამ ყრთ ხალხის საკეთო, სოცნებო კეთილდღეობის გულისათვის სახელმწიფოს ამა თუ იმ ნაწილის სარგებლობაზე ხელსაც იღებენ.

დარწმუნებით შეიძლება სთქვას ადამიანმა, რომ არც ერთი ერი ნებაყოფლობით არ მიანიჭებს სხვას თავისუფლებას, და დამოუკიდებლობით მოტრფიალე ეროვნებას ხელს არ შეუწყობს.

მაგრამ ისეთი შემთხვევა შეიძლება იქმნეს, ისეთი ცვლილება შეიძლება შემოვიდეს სახელმწიფოში, როდესაც ორივე მხარე სცდილობს თავისი ინტერესები დაიცვას.

და, აი, ისტორია და პოლიტიკაც გვიმტკიცებს, რომ შესაძლებელია შეთანხმება, როდესაც სახელმწიფოში ყველაფერი თავისუფლების და დემოკრატიის მკვიდრ ნიადაგზე შენდება ხელახლად; როდესაც ტერიტორიის ხელუხლებლობა, საერთაშორისო მდგომარეობის აუცილებლობა და გარეშე ძალა უზრუნველყოფილია საერთო მხედრობით, საერთაშორისო წარმომადგენლობითაც; როდესაც ეკონომიურ და სამოქალაქო ცხოვრების გულისთვის აერთიანებენ კანონებს, საფინანსო წყობილებას, რკინის გზებს, და არა ყოველსავე სიცოცხლის დამხობ ცენტრალიზაციას და ადგილობრივ ძალთა შთანთქვას ცენტრალურ დაწესებულებათა მონოპოლიით; როდესაც ამავე მიზნით აერთიანებენ იურიდიულ და ეკონომიურ ცხოვრების საფუძველს და ადგილობრივ ძალებს თავს უყრიან შემოქმედებითი შრომისთვის; როდესაც ეს შრომა დამოუკიდებელია და მხოლოდ ცენტრში განსაზღვრულ დედა-აზრებთან შეფარდებული.

ეჭვი არ უნდა იმას, რომ საერთო კონსტიტუცია და ადგილობრივი ორგანიული სტატუტები თუ მიაღწევენ და დაამკვიდრებენ საჭირო გარანტიების საპოლიტიკო და საკულტურო ცხოვრებაშიაც, მაშინ «განაპირა ადგილებს» უნდა ჰქონდეს მინიჭებული უთუოდ თვითგამორკვევის ფართო უფლება ადგილობრივ არა მარტო ეკონომიურ საქმეებში, არამედ საკულტურო საქმეებშიაც, ე. ი. მათ უნდა ჰქონდეს დავალებული სასწავლებლების გამგეობა, ადგილობრივ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ეს მრავალმხრივ თვითგამორკვევა, ამა თუ იმ დამორჩილებულ ეროვნებას ან ქვეყანას საშუალებას აძლევს განავითაროს თავისი «მე», თავის ქონებრივი და სულიერი ძალები სახელმწიფო მთლიანობის ფარგალში.

კონსტიტუციის და ადგილობრივ სტატუტების სამფლობელოზე ეროვნულ განვითარების საშუალება თუ ექმნა მინიჭებული ყველას, მაშინ მოისპობა დაუსრულებელი განხეთქილება, არა სასურველი ქიშპობა, რომელიც სხვა პირობებში აუცილებელია. ის სულიერი ენერგია, რომელიც საპოლიტიკო და ეროვნულ გარანტიების მოპოვებას უნდებოდა დღემდის, შემოქმედებითი და ნაყოფიერ შრომაზე დაიხარჯება,—ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

ხალხის კეთილდღეობას ემსახურება სახელმწიფო ცხოვრების ახალი ფორმები და, რაკი ახალ სახელმწიფოს მიზანია ემსახუროს მოქალაქეებს მათგან შემუშავებულ კანონების მიხედვით, მათ საერთო სურვილისამებრ,—პრინციპიალურად საძნელო და საეჭვოც აღარ არის ის საკითხიც, რომელიც ამჟამად აშინებს ყველას,—ენების შესახები საკითხიც.

ყოველი დაწესებულება მოქალაქეთათვის, და არა მოქალაქე დაწესებულებისთვის. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ხალხის ენა და არა პირიქით ხალხმა ის ენა, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებაში შემოღებულია.

ადმინისტრაციასა, სასწავლებელსა და სასამართლოში ადგილობრივ ხალხის ენა უნდა იყოს გამეფებული.

იქ, სადაც კულტურის მიხედვით, ენა ყველა ადგილობრივ ინსტანციაში ვერ იქმნება შემოღებული, იქ შეძლებისა გვარად მაინც უნდა ჰქონდეს მას ბატონობა მინიჭებული. სადაც ერთ ენას არა აქვს ცხოვრებაში უპირატესობა, იქ ორი ან სამი, ან კიდევ მეტი ენა უნდა შემოვიდეს; როგორიც „მოთხოვნილებაა“, ისეთი უნდა იყოს სახელმწიფო მოხელეც.

პრაქტიკაში ამის განხორციელება ხშირად საძნელო იქმნება,—ძნელია ყველა ეროვნების თანასწორად დაკმაყოფილება.

ცოტაოდენი უსწორმასწორობა გამონაკლისით იყოს და არა საზოგადო კანონად,—ჯერ უნდა ვეცადოთ შეძლების გვარად შემოვიტანოთ ცხოვრებაში ხსენებული პრინციპი. ამის სურვილი უნდა ჰქონდეს ადამიანს, თორემ შეიძლება სიძნელე მოიმიზეზოს ადამიანმა, გადაუწყვეტლად დასტოვოს ხსენებული საკითხი იქაც კი, სადაც ყველაფერი მზად არის ადგილობრივ ეროვნულ ენის შემოსაღებად ადმინისტრაციასა, სასწავლებელსა და სასამართლოში.

იქ, სადაც რამდენიმე ერი ერთ სახელმწიფოს ბრჭყალებში ფართხალობს, ან სადაც მეტად თუ ნაკლებად განვითარებული ადგილები თავიანთ მდგომარეობას უკვირდებიან,—მათ თვალ წინ მალე იმართება წარმტაცი სურათი,—**ფედერალიზმი**.

ეს შეიძლება სახელმწიფო ტექნიკის უმაღლესი ფორმაა, რომელშიაც ცალკე სახელმწიფოების მთავრობათა გვერდით და მთავრობებს ზევით არსდება კიდევ სხვა, საერთო, მათგან დამოუკიდებელი მთავრობა კონსტიტუციაში მოხსენებულ საერთო საქმეების წარსამართავად; ეს ფორმა უმეტეს გარანტიებს იძლევა, ყოველსავე უპირატესობას, რომელიც მოჰყვება სახელმწიფო საქმეების განაწილების და მიზნის შესაფერ მოწყობას,—ეს ფორმა თანდათან ვრცელდება დედამიწაზე და მის გავრცელებას თან მოჰყვა წინანდელი შიში და ეჭვიანობა.

მაგრამ იგი ფორმაა, უკვე მოწყობილ, განმტკიცებულ და სასიცოცხლო სახელმწიფო ერთეულების შემაკავშირებელი.

ასე იყო საქმე, მაგ., შტატებში, ასე იყო შვეიცარიის კავშირში და თვით გერმანიის იმპერიაშიაც, რომელსაც, ასე თუ ისე, მაინც ფედერაცია უნდა დავარქვათ უთუოდ.

არ შეიძლება, რასაკვირველია, საისტორიო წარსულ მაგალითების მიხედვით, დავამტკიცოთ, რომ მთლიან სახელმწიფოს გადაქცევა ფედერაციად შემდეგშიაც აღარ არის შესაძლო. განსაკუთრებით ადვილი გასაგებია ფედერაციისადმი მისწრაფება ისეთ ქვეყანაში, როგორიც სხვადასხვა ეროვნებისაგან შემდგარი არის.

ავსტრიაში, სადაც შედარებით უმეტესობის წარმომადგენელნი—გერმანელები იმდენად ძლიერნი არ არიან, რომ სხვა ეროვნებებს მბრძანებლად გაუხდნენ, სადაც ცენტრს დიდი ძალა არა აქვს და ამიტომ ფედერაციისთვის ნიადაგი თითქო მეტად შესაფერია,—ფედერაციის შემოღებას წინ მაინც მრავალი დაბრკოლება უჩნდება,—ამ დაბრკოლებებში უმთავრესია—ძველი დროის ტრადიციები, ბიუროკრატობის და ცენტრალიზაციის ჩვეულებები, და გავლენიან ძალის უქონლობა, რომელსაც შესძლებოდა საკამათო ეროვნულ კითხვების გარკვევა.

როგორც რესპუბლიკის არსებობა წარმოუდგენელია, თუ არ არის მოქალაქე-რესპუბლიკელები, ისე შეუძლებელია ფედერაციაც, თუ არ იქმნა შესაფერად მოწყობილი „შტატები".

მაგრამ იქაც, სადაც ფედერალიზმისათვის შესაფერი ნიადაგი არა სჩანს, შეიძლება ცენტრის და ცალკე ადგილების ინტერესების სამართლიანი განსაზღვრა: ძლიერსა და გავლენიან ცენტრს შეუძლია მიანიჭოს სხვადასხვა ადგილს, მის განვითარების და კულტურობის მიხედვით, მიანიჭოს შესაფერი მდგომარეობა. განაპირა ადგილები სრულიად სახელმწიფოს მთლიანობას არ უნდა ღალატობდნენ, თავიანთ მოთხოვნილებით შესაძლებელს არ უნდა გადაეცილონ და ყოველთვის უნდა იქონიონ მხედველობაში რეალური პოლიტიკა და ძალების არსებული ურთიერთობა, და არა აბსოლიუტის სამართლიანობის იდეა ან განყენებული მსჯელობა.

მაგრამ, მეორეს მხრივ, ცენტრიც არ უნდა აჰყვეს ბატონობის სურვილებს, ან განაწილების და დარღვევის შიშს არ უნდა გაატაცებინოს თავისი თავი. ცენტრი, რომელმაც თავის დაწყობილ ძალთა უპირატესობით თითქო მიიღო იმპერიალიზმის დამახასიათებელ ცრუ-რწმენის უფლება, ეს ცენტრი არ უნდა ივიწყებდეს იმ საზღვარს, სადაც მთლიანობის სამსახური თავდება და იწყება ერების და პროვინციების დაჩაგვრა.

ასეთი დაჩაგვრა კი აუცილებელი შეიქმნება, თუ ნამეტან გაჰყვნენ „მთლიანობისა და განუყოფლების", ე. ი. ცენტრალიზაციის სამსახურს, თუ მოინდომეს ადგილობრივი საქმეები ათას ვერსის სიშორეზე გადაწყდეს და სხვა, და სხვა. პირიქით, ძირითად კანონებში თუ იქმნა გადაჭრით მოხსენებული, რომელი საქმეებია საერთო მთელ სახელმწიფოსთვის და თვით მართველობის მქონე ადგილებისთვის, რომელი საქმებია, ამიტომ, საჭირო სახელმწიფოს მთლანობისთვის და ეს საქმეეში სრულიად სახელმწიფოს საწარმომადგენლო და სხვანაირ დაწესებულებათ თუ დაევალათ, ამასთან ერთად ადგილობრივ საქმეებისთვის თუ იქმნა მოწყობილი განსაკუთრებულ სახის თვითმართველობა, რომელსაც ადგილობრივი სეიმები და აღმასრულებელი ორგანოები ექმნება,—სახელმწიფოს მთლიანობა მაშინ დაურღვეველი დარჩება და, შეიძლება, ცენტრსა და განაპირა ადგილებში ჰარმონიული კავშირი და ურთიერთობა დამყარდეს.

თვითგამორკვევა ყველგან ერთი და იგივე არ იქმნება,—მისი საზღვარი ყველგან განსაკუთრებულ ადგილობრივ სტატუტებისა და წესდებების ძალით უნდა იქმნეს გამორკვეული.

ამ თვითგამორკვევის საზღვარი, შეიძლება, ვიწრო იყოს, შეიძლება რუსეთის შიდა-გუბერნიებში არსებულ საერობო თვითმართველობის საზღვარს არ გადასცილდეს (ენის შესახებ უფლებათა მომატებით),—მაგრამ, მეორეს მხრივ, შეიძლება, მან ნამდვილ ადგილობრივ ავტონომიის სახე მიიღოს, ადგილობრივ საკანონდებლო კრებით, თავის საკუთარ კანონმდებლობით, გამგეობითა და სამოსამართლო წესწყობილებით, რაც, მაგ., უკვე არსებობს ფინლანდიაში.

ხალხის წარმომადგენელთა სიბრძნემ, მამულიშვილობამ და დიდსულოვნებამ, უნდა გადასწყვიტოს ყველა მოხსენებული საკითხი ისე, რომ ახლა ცენტრალიზაციის ვიწრო ფარგალში შეხუთულ ხალხს ძალების უნაყოფო დახარჯვა აღარ დასჭირდეს შემდეგში.

უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: საოლქო რეფორმა და ადგილობრივ ეროვნულ საკითხების გადაწყვეტა შესაძლოდ გახდის ხალხის საკეთილდღეოდ ეროვნულ სოლიდარობისა და თვითმოქმედობის ძალების გამოყენებას, იმ ძალებისა, რომელიც ამდენ ხანს უნაყოფოდ იკარგებოდა,—და ეს ხომ სასარგებლო იქნება თვით ამ ერებისა, სახელმწიფოსი და კაცობრიობისთვისაც.

და განა დიადი საისტორიო საქმე არ არის ცალკე ეროვნებათა თვითმოქმედების დაკავშირება მთლიან სახელმწიფოსთან, ფართო სოლიდარობის, საზრიან და კულტურულად ან ეკონომიურად აუცილებელ ერთობის შექმნა?

ბედნიერია ის ერი ან ის თაობა, რომელსაც წილად ხვდა ამ საკითხის ასეთი გადაჭრა; რამდენი კაცი შესძლებს მაშინ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რამდენ ადამიანს გაეღება კარი ბრწყინვალე მომავლისაკენ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 ივლისი.

ქრისტიანია, 13 ივლისი. ნორვეგიის პრესა შვეციის მიერ წამოყენებულ პირობებს თავ-დაჭერით ეპყრობა. გადაჭრილ სიტყვის თქმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უფრო დაწვრილებით მოსაზრებას წარმოადგენენ და როდესაც ახალის სამინისტროს წევრთა სია გვეცოდინება.

დონის როსტოვი, 13 ივლისი. როსტოვის ოლქის, ორადოვის ვოლოსტის სოფლების ყრილობაზე გლეხებმა გადასწყვიტეს: მისს უდიდებულესობას გაუგზავნონ უქვეშევრდომილესი დეპეშა და იშუამდგომლონ, რომ ერობა ჩქარა იქმნას შემოღებული. სარწმუნოების თავისუფლების შესახებ უმაღლესი ბრძანებანი როსტოვის ოლქში სხვადასხვა ნაირად ესმით და ბევრი არა-სასურველი ამბავი ხდება. კარგი იქნება, ამის შესახებ სამინისტროს განმარტებანი ხალხში ბლომად გაავრცელონ. გემებისა და ნავთსადგურის მუშები ჰფიქრობენ, ააგონ სამლოცველო. ამ მიზნით ცოტაოდენი ფული შეჰკრიბეს და ხაზინაში შეიტანეს.

ახალი ორლეანი, 13 ივლისი. ქალაქის გამგეობის ცნობებით, ქალაქში 154 კაცი ციებით ავად გამხდარა, ამათგან 34 კაცი გარდაცვლილა.

ყაზანი, 13 ივლისი. საღამოს 9 საათზე დიდი წვიმა მოვიდა. ზოგიერთ ქუჩებზე ნიაღვრები მოდიოდა. მიმოსვლა შესწყდა. სარდაფები წყლით აივსო.

ვარშავა, 13 ივლისი. „ვარშავსკი დნევნიკ"-ში კათოლიკეთა არქიეპისკოპოსის პოპელის მოწოდებაა დაბეჭდილი. არქიეპისკოპოსი ეთანხმება, რომ თანამედროვე სასწავლებელი ახალგაზრდობას სულიერ და ეროვნულ მოთხოვნილებებს ვერ უკმაყოფილებს და იმედი აქვს, რომ მალე ველირსებით ახალს სასწავლებელს, რომელიც მოსწავლეთა ამ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებსო. ამასთანავე ურჩევს ყველას, სექტემბრიდან სწავლა განაახლონ.—„ვარშავსკი კურიერ"-ს სიტყვით, სახლის პატრონთა კომისიამ ქირის დაკლება მოსახერხებლად ვერა სცნო, რადგანაც სახლის პატრონებისთვის ეს ძალიან საზარალო იქნებოდა, მაგრამ, აღიარა რა მუშების უკიდურესი ეკონომიური მდგომარეობა, კომისიამ გადასწყვიტა, ნებაყოფლობით გადასახადი დაადოს სახლებს და ამნაირად დახმარება აღმოუჩინოს შეუძლებელ მცხოვრებლებს.

კავკავი, 13 ივლისი. სადგურ ბესლანიდან სადგურ კავკასიისკაიამდე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. მატარებლები კავკავიდან ბაქომდე დადიან.

კონსტანტინეპოლი, 13 ივლისი. მუსულმანთა მდგომარეობა კრიტზე, განსაკუთრებით კი სიდინოსა და რეტიმოში, დღითი-დღე უფრო მწვავდება. ერთთავად მკვლელობა ხდება. მეამბოხენი და მთავრობის პარტიები ერთმანეთს ამტყუნებენ.

ნიუ-იორკი, 12 ივლისი. „სიუმ"-ი ამბობს: თუნდაც დღევანდელ პირობებში რუსეთი საფრანგეთს მიემხროს, გერმანია უძლეველი ძარბება და ჰოლანდიის და ბელგიის მითვისებას მაინც მოახერხებს და, ამას გარდა, საფრანგეთსაც ზოგიერთ მიწებს ჩამოათლისო.

ბელგრადი, 12 ივლისი. არჩეულია 78 რადიკალი, 50—ზომიერი რადიკალი, 14 ლიბერალი, 2—სოციალისტი, 1—გლეხთა პარტიისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 ივლისი

პარიჟი, 12 ივლისი. „ტან"-ი იუწყება, რომ ვიტტეს პარიჟში არავითარი პოლიტიკური და ფინანსიური მოლაპარაკება არა ჰქონიაო. ვიტტე ებაასებოდა ნელიდოვს, [illegible], ამერიკის ელჩს გენერალ პორტერს და ბარონ როტშილდს. ვიტტე პარიზიდან ხვალ შერბურგში გაემგზავრება.—ხვალ რადოლინს რუვიე მიიღებს. გერმანიის ოფიციალურ წრეებში საფრანგეთის უნდობლობა უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რადგანაც იმპერატორების შეხვედრა საფრანგეთისა და რუსეთის კავშირს და საფრანგეთ-გერმანიის შუა კეთილ-განწყობილებას არაფერს ავნებს.

პარიჟი, 13 ივლისი. ვიტტე დილის ცხრა საათზე შერბურგში გაემგზავრა. ვიტტეს ოჯახი პარიზში დარჩა.

ნიუ-იორკი, 12 ივლისი. მთავრობის განკარგულებით, ალიასკაზე უმავთულო ტელეგრაფს მართავენ. კომურამ განაცხადა, ზავი გვინდა, მაგრამ ისეთი კი, რომ შემდეგში აღარაფერი შიში არა გვქონდესო.

გოძიადანი, 13 ივლისი. იუწყებიან, რომ 11 ივლისს, პირველ საათზე, იაპონიის კონტრ-ნაღმიანი გემები დეკასტრთან მივიდნენ და კანდილისკენ გაემართნენ. პირველ საათსა და 30 წუთზე იაპონელებმა ეს კანდილი დაიჭირეს და თავისი ბაირაღი აფრიალეს.

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. კომურა თავის ამალით 12 ივლისს ჯერსეი-სიტში მივიდა. ნიუიორკში კომურას იაპონიის ელჩი ტაკახირა მიეგება. კომურა საქმეზე ხმას არ იღებს, მაგრამ საელჩოს წევრმა სატომ პრესსის წარმომადგენელნი მიიღო და განაცხადა, იაპონიას ზავის ჩამოგდება უნდა, მაგრამ ძალას კი არავის დაატანს. იაპონიას ჯერ კიდევ დიდი შეძლება აქვსო. კონფერენცია საქმეს 23 ივლისს შეუდგება.

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. კომურას ამალის ერთი წევრთაგანი სატო ერთს ჟურნალისტს ელაპარაკა, იაპონიის მხრივ პირობები იმპერატორმა მინისტრებთან ერთად შეიმუშავაო. როგორც ჰფიქრობენ, იაპონია ომზე დახარჯულ ფულს უსათუოდ აინაზღაურებს. მანჯურიაში იაპონიას ისეთივე უპირატესობა უნდა ჰქონდეს, როგორც რუსეთს. სატოს სიტყვით, მანჯურია და კორეა იაპონიის ხალხის დასახლებისათვის უფრო შესაფერია, ვიდრე გავაის კუნძულები, ან ამერიკა.

პეტერბურგი. მთავარ-სარდლის შტაბის უფროსის ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბის სახელზე: „11 ივლისი, საღამოს 9 საათი. ჯარში დღის განმავლობაში ცვლილება არა მომხდარა".

ვლადივოსტოკი, 13 ივლისი. ცხოვრება აქ უფრო იაფია, ვიდრე ხარბინში, თუმცა იმაზე უფრო შორიდან მოეზიდებიან სანოვაგეს. ბიკინის სადგურთან რკინის გზა ნიაღვარმა წალეკა, რის გამოც 6 ივლისს ხაბაროვსკის ფოსტა შეფერხდა.

ტოკიო, 12 ივლისი. ოფიციალური. ცნობა მოვიდა, რომ ჩრდილო კორეაში, პუკჩენის მახლობლად, იაპონელებმა რუსები გამოდევნეს და ჩრდილოეთით რკინის გზის ლიანდაგი ხელში ჩაიგდეს. სახალინის კუნძულზე ტყვედ შეპყრობილი 464 რუსი ამორიდან ნარაშინოს გაისტუმრეს, არა სამხედრო პირნი—იოკოჰამაში. მკვიდრნი სცდილობენ, რომ ტყვეები რიგიანად დაბინავონ.

ნიუ-იორკი, 12 ივლისი. იაპონიის საზავო მისსიის წევრს სატოს ჟურნალისტისთვის უთქვამს: ზავზე თათბირს კარგი შედეგი მოჰყვებაო. იაპონია ზომიერებით ხელმძღვანელობს და წრეს-გადასულ მოთხოვნილებას არ წამოაყენებსო. იაპონიისა და რუსეთის საზოგადო აზრი ზავის მომხრეა, რომლის დამყარებასაც ნივთიერი და ზნეობრივი მოსაზრებანი მოითხოვსო. ომი მეტად ძვირად დაუჯდა ორთავე მხარეს. 570 ათასი კაცი იმსხვერპლა, ამათგან 370 კაცი რუსეთმა დაჰკარგა. იაპონია ომზე დღეში ერთ მილიონ მანათამდე ხარჯავდა და, ცხადია, კონტრიბუციას მოითხოვსო. რწმუნებულთა უპირველესი საქმე ომის დროებითი შეჩერება იქმნებაო. იაპონიის ერთად-ერთი მიზანია—მანჯურიის კარების გახსნაო. იაპონიის მთავრობას ზავი სურს, მაგრამ ამისთვის ყველაფერს კი არ დასთმობსო.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

იაპონიის პირობები. „მაგდენბურგსკაია გაზეტა" იუწყება: დანამდვილებით გავიგეთ, რომ იაპონია შემდეგის პირობებით აპირობს რუსეთთან შერიგებას: 1) რუსეთმა სახალინი იაპონიას უნდა დაუთმოს; 2) ვლადივოსტოკის ციხე საძირკვლიანად უნდა დაინგრეს; 3) მანჯურია რუსეთმა ისევ ჩინეთს უნდა დაუბრუნოს; 4) ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული და პორტ-არტური იაპონიის ხელში უნდა გადავიდეს; 5) კორეა იაპონიის მფარველობის ქვეშ უნდა იყოს; 6) ხარბინიდან პორტ-არტურამდე რკინის გზა იაპონიას უნდა დაეთმოს, და 7) რუსეთმა იაპონიას სამი მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია მისცეს (რ.).

იაპონიის რწმუნებული ბარონი კომურა. იაპონიამ თავის ინტერესების დასაცველად და გამარჯვების ნაყოფის მოსამკელად გარეშე საქმეთა მინისტრი ბარონი კომურა დანიშნა. მართალია, იაპონიის დიპლომატები განთქმულნი არიან თავიანთ ნიჭითა, უნარითა და მოხერხებით, მაგრამ კომურა მათ შორის ძალიან განირჩევა. კომურას კარგად იცნობენ რუსეთში, ამერიკაში და ჩინეთში, სადაც იგი ერთ დროს ელჩად იყო. ელჩად ყოფნის დროს კომურამ მშვენივრად შეისწავლა ევროპისა და ამერიკის აზრი და შეხედულება შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. იაპონიის რწმუნებული მხნე, მცოდნე, გამჭრიახ და შორს-მჭვრეტელ დიპლომატად ითვლება და მთელი იაპონია დარწმუნებულია, რომ კომურა ახლაც ისე მშვენივრად აასრულებს თავის საქმეს, როგორც შარშან-წინ რუსეთთან მოლაპარაკების დროს აასრულა. კომურა, იაპონელების აზრით, მოლაპარაკებას იაპონიის სასარგებლოდ დაამთავრებს და იაპონიის გამარჯვებულ ფლოტსა და არმიას გვირგვინს დაადგამს (ნ.).

ჩინეთი. „ტაიმს"-ს პეკინიდან ატყობინებენ: რუსეთ-იაპონიის მომავალ მოლაპარაკებაში ჩინეთსაც უნდოდა მონაწილეობის მიღება, რადგან მანჯურიისა და ჩინეთის ბედს უჩინეთოდ გადასწყვეტენო. ევროპის ელჩებმა ჩინეთი დაარწმუნეს, რომ ეს კერძო მოლაპარაკება იქნება და არა კონფერენცია, მაშასადამე, ჩინეთს ვერ შეეხებიანო. ჩინეთის დიპლომატებმა უპასუხეს, ასეა თუ ისე, იაპონიის გულწრფელობა გვჯერა და დარწმუნებულნი ვართ, რომ იაპონია ჩინეთს არ დასჯაბნის, მაგრამ რუსეთისა კი არა გვჯერა და ვერ ვენდობითო (რ. ვ.).

ფელეტონი

—

ჰენრიკ იბსენის უკიდურეს ინდივიდუალიზმის განვითარება

პესსიმიზმი.

1884 წელს გამოვიდა დრამა „გარეული იხვი". ამ დრამაში იბსენმა პირველად ძალიან დაუნდობლად გაარჩია მთელი თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა და მწარედ დასცინა თავის თავს. გრეგერს ვერლე, რომელიც იბსენივით ცხოვრების სიცრუის წინააღმდეგ იბრძოდა და სიმართლეზე სურდა აეგო ხალხის ცხოვრება, იბსენს გამოჰყავს ტუტუც და განუვითარებელ კაცად; ექიმი რელლინგი კი, რომელიც წინააღმდეგის აზრებისა იყო,—პატიოსან და განვითარებელ კაცად. „გარეული იხვი"თ იწყება პესსიმისტური პერიოდი იბსენის ლიტერატურულ მოღვაწეობაში; ამიტომ საჭიროა ეს დრამა ვრცლად გავარჩიოთ.

მდიდარმა ვაჭარმა ვერლემ ტბაზე დასჭრა გარეული იხვი; მხოლოდ რამდენიმე საფანტი მოხვდა ფრთაში გარეულ ფრინველს. იხვი შორს ვეღარ გაფრინდა და მაშინვე ჩაიყურყუმელავა წყალში. მაგრამ ჩაეკრა ტბის ძირში ფესვებს და ქუჭყიან ბალახს, რომლითაც მთელის ტბის ძირი მოფენილია. ვერლეს ჰყავდა არა-ჩვეულებრივი ძაღლი, რომელმაც ჩაიყურყუმელავა წყალში და გარეული იხვი ძირიდან ამოიყვანა. იხვი ჯერ ვერლესა ჰყავდა, მაგრამ მალე აჩუქა ბებერ ექდალს, რომელმაც მოათავსა იგი სახლის ჩარდახში. ის იხვი, რომელიც შეჩვეული იყო თავისუფალ ცხოვრებას, წინად ფრინავდა უსაზღვრო სივრცეში, სუნთქავდა წმინდა ჰაერს, დასცურავდა ზღვაში,—ახლა ისე შეეჩვია თავის ტყვეობას, რომ აღარც კი აგონდება წარსული თავისუფალი ცხოვრება. მას დაუდგეს წყლით ორე, რომელმაც მთლად დაავიწყა მღელვარე ზღვა. იგი ჩაწვებოდა ხოლმე წყალში და დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრება სრულებით არ გამოცვლილა, რომ ეს წყალი—ის ზღვაა, სადაც ის ოდესღაც ნავარდობდა. ერთის სიტყვით გარეული იხვი თავმოტყუილებას მიეცა, შეჰქმნა თავისთვის „სიცრუე ცხოვრებისა" და ისე ბედნიერად იგრძნო თავისი თავი, რომ კიდეც გასუქდა.

დრამაში სახელი „იხვი" სიმბოლოა მომქმედთა ერთის ნაწილისა. ვინ არიან ესენი?

მეხუთე მოქმედებაში გრეგერსისა და რელლინგის ლაპარაკიდან სჩანს, რომ იალმარ ექდალი ბუნებით უნიჭო კაცი არ იყო. „შესაძლებელი იყო—ამბობს რელლინგი,—რომ იგი „პიროვნებად" გამხდარიყო, მაგრამ ცხოვრებამ, საუბედუროდ, იგი წელში მოღუნა! როდესაც იალმარი სტუდენტად იყო, ამხანაგებში ისეთი სახელი გაითქვა, რომ ყველას იმედი ჰქონდა,—იგი მომავალი „მნათობი" არისო. იალმარი ლამაზი კაცი იყო და ბევრ ქალსა ჰხიბლავდა. პოპულიარულ ადამიანად ხდება საზოგადოდ დიდის ჭკუის პატრონი კი არა, არამედ—ჩვეულებრივი პიროვნება, ცოტათი მჭერმეტყველი და ცოცხალ ტემპერამენტიანი. იალმარიც ასეთი იყო. ვინ იცის, იქნება იგი ისეთ არარაობად არც კი გამხდარიყო, როგორსაც ვხედავთ დრამაში, რომ უბედურება თავზე არ დასტყდომოდა და ერთბაშად არ დაემახინჯებინა მისი ბუნება. მისი მამა ციხეში ჩასვეს, რადგანაც სახელმწიფო ტყე გაჰკაფა. საბრალო სტუდენტი ულუკმა-პუროდ დარჩა და, რადგანაც განათლების გაგრძელება აღარ შეეძლო, იძულებული გახდა რაიმე ხელობა შეესწავლა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. იალმარმა ფოტოგრაფია შეისწავლა და მალე შეირთო ვერლეს ეკონომკა გინა. ჩავბა ოჯახურ ცხოვრებაში და სულ ერთიანად დაივიწყა თავისი ოცნებანი, რომელსაც არაერთხელ ეძლეოდა სტუდენტობის დროს: გატაცებული ახალგაზდა მალე ფუქ რეზონერად გადაიქცა. იალმარს ისეთივე საქმე დაემართა, როგორც ფრთაში დაჭრილ გარეულ იხვს: იგი დაეშვა ცხოვრების ფსკერზე, როგორც იხვი ზღვისაზე.

აღსანიშნავია იალმარის ხასიათი. რაც უნდა ჩაიდინოს, რა საძაგლადაც უნდა მოიქცეს, ყველა თავის საქციელში იალმარი ხედავს თავის ბუნების სიდიადეს და არა-ჩვეულებრივ ღირსებას. მაგალითად, იგი უამბობს გრეგერს, რომ მისს მამას სურდა მოეკლა თავი; „მაგრამ—დასძენს იალმარი,—მან ტყვია შუბლში არ იკრა, რადგანაც საკმარისი გამბედაობა არა ჰქონდა, იგი მშიშარა კაცი გამოდგა". ამის შემდეგ იალმარი განაგრძობს და ამბობს, რომ თვითონაც თავის მოკვლა უნდოდა. როდესაც მისს მამას გახადეს მუნდირი, ტუსაღის ტანისამოსი ჩააცვეს და ციხეში ჩაამწყვდიეს, იალმარმა ფანჯრებზე ფარდა ჩამოაფარა და თავის საკუთარ გულს მიუშვირა რევოლვერის ლულა. „მაგრამ ბოლოსო,—ათავებს თავის ამბავს იალმარი,—მე მაინც გავიმარჯვე „ჩემს თავზე", ცოცხალი დავრჩი! მაგრამ შენ, გრეგერს, კარგად გესმის, რომ საჭირო იყო დიდი სიმამაცე, რათა მერჩია სიცოცხლე იმისთანა საშინელ გარემოებაში". ბებერმა ექდალმა თავი რომ არ მოიკლა, ამას იალმარი ხსნის იმის მშიშრობითა და სულის დაცემით, ხოლო თავის მსგავსი საქციელი კი სიმამაცისა და გმირობის მაჩვენებლად მიაჩნია!

იალმარი განზრახ არა სტყუის,—იგი დარწმუნებულია თავის სიტყვების სიმართლეში. და, აი, ეს მისი თვისება სჩანს ყოველ მის სიტყვასა და საქციელში. ღირსშესანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ იალმარი დარწმუნებულია თავის გენიოსობაშიაც. ეს თავის მოტყუილება მალამოდ ედება მის სულიერ ჭრილობებს. იგი მაშინვე დაიღუპება, რა წამს მიხვდება, რომ გენიოსი კი არა, ფუქი ფრაზიორია. იალმარმა, მაგალითად, გადასწყვიტა მოახდინოს დიადი გამოკვლევა. მაგრამ რა გამოკვლევა? ამაზე იგი სრულებითაც არ ფიქრობს. იგი დარწმუნებულია, რომ მოახდენს დიად გამოკვლევას და ამ რწმენით ბედნიერია. სადილს შემდეგ, როდესაც ლაზათიანად გამოძღება, ჩაიკეტება ხოლმე თავის ოთახში, წამოწვება მდივანზე და ოცნებობს იმაზე, რომ, როდესაც ყველას განაცვიფრებს თვის გენიოსობით, მაშინ საჩუქრად მოითხოვს „დაუბრუნდეს მუნდირი მისს მამას,—ეს იქნება ერთად-ერთი საჩუქარი საბრალო მეცნიერისთვის!". მაგრამ მეორე ადგილას ამასაც ამბობს,—ერთად-ერთი საჩუქარი ის იქნება, რომ იგი თავის ქალისთვის „რასძ" მოითხოვს. იალმარი სთვლის თავის თავს ოჯახის მასაზრდოებლად, პატიოსანთაგან პატიოსან ქმრად, სამაგალითო მამად, როდესაც არც ერთია, არც მეორე და არც მესამე. და, აი, ყოველთვის ამგვარად ატყუილებს თავის თავს. ამ სიცრუეს, რომელიც თვითვე შეჰქმნა, ისე ებღაუჭება, როგორც წყალწაღებული ნაფოტს. ეს ილიუზია მისთვის ისეთ საჭიროებას წარმოადგენს, როგორც გემრიელი სადილი. იგი კმაყოფილია თავის ცხოვრებით და სრულებით არა ჰგძნობს, რომ ცხოვრების ფსკერზე დაეშვა.

იალმარი დასჭკნდა კიდეც, როგორც გარეული იხვი. საბრალო გარეულ იხვსაც ხომ აღარ ესმის, რომ ცხოვრობს დახშულ ჩარდახში და არა თავისუფალ სივრცეში, რომ ბანაობს ორეში და არა ზღვაში. გარეული იხვიც თავმოტყუილებითა და ილიუზიებით ცხოვრობს.

მამა იალმარისა, ბებერი ექდალი, ერთ დროს გამოცდილი მონადირე იყო. იგი ცხოვრობდა მთებში, ერთს ფაბრიკაში. მას გარშემოერტყა შავი, მრისხანე, დაბურული ტყე, მაღალი და სალი კლდეები. იგი ყოველთვის ხედავდა მშვენიერსა და კეკლუცად ამწვანებულ ველებს და სტკბებოდა მათის სილამაზით. მისი ყური შეეჩვია ქარიშხალის გრიალს გამოქვაბულებსა და კლდეთა შორის.

ასეთ პირობებში სცხოვრობდა იგი. მაგრამ სახელმწიფო ტყის გაკაფვისთვის ექდალი რამდენიმე წლით ციხეში ჩასვეს. და ამ უბედურებამ ერთბაშად წაართვა მას მთელი სულიერი ძალა. ციხეში კარგა ხანს იჯდა და მისს მეხსიერებაში ჰფრინავდა წარსული თავისუფალი ცხოვრება. მან იგი არ დაივიწყა. რამდენისამე წლის შემდეგ ციხიდან გამოუშვეს, და როგორ მოაწყო მან ცხოვრება? ჩარდახში გაიჩინა კროლიკები, მტრედები, სხვადასხვა ფრინველები, გარეული იხვი, დასდგა რამდენიმე პატარა ნაძვის ხე და სრულიად დამშვიდდა. ექდალი ღრმად დარწმუნებულია, რომ მისი ცხოვრება არ შეცვლილა. იგი თითქმის ყოველ-დღე ნადირობს კროლიკებზე და ბედნიერად ჰგრძნობს თავის თავს, როდესაც პატარა კურდღელს მოჰკლავს. „დღეს ნადირობას არა უჭირდა-რა, ძალიან დიდი კროლიკი გავაგორე",—ამბობს ხოლმე ბებერი ექდალი ნადირობის შემდეგ და სახე უბრწყინავს ბედნიერების სხივით. ექდალი ისე მტკიცედ დარწმუნებულია,—ნამდვილ ტყეში ნადირობს და არა ჩარდახში, რომ, როდესაც ცუდი ამინდია, თავის დღეში თოფს არ აიღებს ხელში. „რა დროს ნადირობაა ასეთ ცუდ ამინდში"!—ეუბნება იგი თავის შვილის-შვილს გედვიგს (მესამე მოქმედებაში).

ამნაირად ბებერმა ექდალმაც შეჰქმნა თავისთვის სიცრუე ცხოვრებისა; ამ სიცრუითა და თავმოტყუილებით შეამსუბუქა თავისი სიცოცხლე. აქაც უნებურად გვაგონდება გარეული იხვი, რომელიც თავს იტყუებდა და ტყვეობა თავისუფლებად მიაჩნდა.

კანდიდატი მოლვიკი ავადმყოფი და საშინელი ლოთი ადამიანია, მაგრამ მან თავისი თავი დაარწმუნა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სხვებმა დაარწმუნეს, რომ იგი იმიტომ კი არა ლოთობს, რომ ალკოჰოლიკი არის, არამედ იმიტომ, რომ სმის სურვილი როგორღაც უცებ, სტიქიურის ძალით მოევლინება ხოლმე. არავითარ ძალას არ შეუძლიან შეაყენოს ეს სტიქიური მოვლენა! ხოლო ასეთი არა-ჩვეულებრივი ძალა მხოლოდ დიდ ბუნებოვან ადამიანსა აქვს, და მოლვიკიც ფიქრობს, რომ იგი დიდის ბუნების პატრონია. მას რომ ეჭვი შესვლოდა თავის ბუნების სიდიადეში, ისე შეეზიზღებოდა თავი, რომ ჯაკრით სულს დალევდა. ამგვარ თავის მოტყუილებითა და სიცრუით მოლვიკმა დაიმშვიდა გული და შეურიგდა იმ აზრს, რომ იგი გაუსწორებელი ლოთია.

მთელი სიცოცხლე იალმარისა, ექდალისა და მოლვიკის თავის მოტყუილებასა და სიცრუეზე არის აშენებული, როგორც სიცოცხლე გარეულ იხვისა. საჭიროა, გონიერმა კაცმა დაიცვას ეს სიცრუე, რომელიც ხელს უწყობს სამივეს ცხოვრებას, თუ უნდა ეცადოს, რომ მოსპოს იგი? ეს ღრმა კითხვა ირჩევა დრამაში. სიცრუისა და თავმოტყუილების წინააღმდეგ იბრძვის იდეალისტი გრეგერსი, ხოლო მათ იცავს რეალისტი რელლინგი.

გრეგერს ვერლე ძალიან პატიოსანი და უანგარო კაცია, მაგრამ მისმა პატიოსნებამ ავადმყოფობამდის მიაღწია. ჭკვიანი რელლინგი ამბობს, რომ გრეგერსი ავად არის „პატიოსნების ციებ-ცხელებითო". თავის დედის სიკვდილის შემდეგ, რომლის დაკარგვამაც მასზე საშინელი შთაბეჭდილება იქონია, გრეგერსი მთებში წავიდა და ცხოვრობდა მდიდარ მამის ქარხანაში. რაც ჯამაგირი ერგებოდა, იმაზე მეტის არც ერთ კაპეიკის აღებაზე არა თანხმდებოდა. გრეგერსი ახლო-მახლო სოფლებში დადიოდა, მივიდოდა რომლისამე გლეხკაცის ქოხში და უქადაგებდა „იდეალურ აზრებს".

იმ მთებში დიდხან ცხოვრების შემდეგ, გრეგერსი, მამის თხოვნით, ჩამოვიდა იმ ქალაქში, სადაც მისი ძველი მეგობარი იალმარი იყო. გრეგერსს გული აემღვრა, როდესაც გაიგო, რომ იალმარმა ცოლად შეირთო იმის მამის ეკონომკა გინა, რადგანაც იცოდა, რომ გინას ახლო დამოკიდებულება ჰქონდა მისს მამასთან. გრეგერსი ხედავს, რომ მთელი ოჯახური ცხოვრება და კეთილდღეობა მის მეგობრისა სიცრუეზე არის აშენებული, რადგანაც იალმარმა არ იცის ცოლის და ვერლეს საიდუმლო. „იდეალურ აზრების" მქადაგებელი ყველა ამას ხედავს და მის თავში მაშინვე იბადება გეგმა. თუ როგორ მოსპოს ეს სიცრუეზე აშენებული ბედნიერება მეგობრისა და სიმართლეზე ააშენოს იგი.

გრეგერსი წაეჩხუბა მამას და, რაკი მტკიცედ გადასწყვიტა სამუდამოდ მოშორდეს მას, გაემართა თავის მეგობრისკენ. როდესაც იალმარის ცხოვრება უფრო ახლო გაიცნო, დაათვალიერა ჩარდახი, მაშინ გრეგერსი დარწმუნდა, რომ იალმარსა და გარეულს იხვს ბევრი ერთგვარი თვისება აქვთ. „შენ ძალიან ჰგევხარ გარეულს იხვს",—ეუბნება გრეგერსი იალმარს: „მე კი მინდოდა მიმგვანებოდი ძაღლს, რომელიც ჩაიყურყუმელავებს ხოლმე წყალში და ტბის ფსკერიდან მაღლა ამოიყვანს გარეულ იხვს". გრეგერსმა საბოლოოდ გადასწყვიტა, ცხოვრების ჭუჭყიან ფსკერზე დაცემული იალმარი ფეხზე დააყენოს, გაჰფანტოს სიცრუის ბურუსი, რომელიც გარშემო არტყია მისს მეგობარს, და მისი ცხოვრება მოჰფინოს სინათლითა და მზის სხივებით. დეე, იალმარმა დაინახოს სინამდვილე, დეე გაიგოს, რომ მისმა ცოლმა ოდესღაც შესცოდა მდიდარ ვერლესთან; მაშინ, გრეგერსის აზრით, იალმარი, გაიგებს რა სიმართლეს, აპატიებს ცოლს შეცოდებას და აღამაღლებს მას სულიერად თავის პიროვნებამდის. „ამაზე უდიდესი ბედნიერება არ არისო",—ფიქრობს გრეგერსი. თუ რამდენად ტუტუცი და ჭკუამოკლეა საბრალო იდეალისტი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ იგი იალმარს ბოლომდის ღრმასულოვან და დიდ-ბუნებოვან პიროვნებად სთვლის, თუმცა ყოველ ნაბიჯზე შემთხვევა ეძლევა დარწმუნდეს იალმარის არარაობაში. გრეგერსს არ ესმის, რომ იალმარს არ შეუძლიან თამამად შეჰხედოს სინამდვილეს, რომ მას არ ძალუძს იცხოვროს თავის მოუტყუებლად.

ახალი ამბავი

✦ **სტუდენტი ლ. ა. ხერ'ეულიძე**, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წევს, თუმცა ჯერ გონს არ მოსულა, მაგრამ წინა დღეებზე მაინც **უკედ არის.**

✦ ექიმების სიტყვით, პოლიცმეისტერ **კოვალიოვის ჭრილობები სასიკვდინო არაა** და ამ ჟამად უკეთობა ეტყობა.

✦ გუშინ-წინ, 12 ივლისს, თავისს ბინაზე დაპატიმრებულ იქმნა **„ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი ვლ. ბ. ლორთქიფანიძე.**

✦ ოთხშაბათს, 13 ივლისს, მესამედ წარსდგნენ ნამესტნიკის წინაშე გენერალ ამილახვრისმიერ **ქართლიდან გამოგზავნილ გლეხების დეპუტაციები.** სულ 48 კაცი იყო ცხინვალისა და მეჯვრისხევის საბოქაულოებიდან. ნამესტნიკმა ამ დეპუტაციებს სიტყვა-სიტყვით იგივე გაუმეორა, რაც წინა დეპუტაციებს, და გააფრთხილა—მთავრობასთან უთანხმოება არ გამოგადგებათო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა მგზავრთა და საქონლის გამგზავნელთა საყურადღებოდ აცხადებს, **მემანქანეებისა, მოსამსახურეთა და დეპოს მუშების გაფიცვის გამო** სახალხო მატარებლები ბალაჯარიდან მარტო სადგურ ბესლანსა და კავკავამდის დადისო.

✦ ჩვენ გავიგეთ, რომ **რაჭაში თ-დი ჯ. ყიფიანი, რომელსაც მამული აღარ გააჩნია, ცდილა მილიციის შედგენას.** მოუწვევია თავად-აზნაურნი და რჩევა მიუცია, მაგრამ, როგორც სჩანს, განზრახვა ვერ მოუყვანია ჯერ სისრულეში იმიტომ, რომ მეტი წილი არ დათანხმებულა, თუმცა თ დი ჯ. ყიფიანი ისევ ბეჯითად განაგრძობს თავის მოქმედებას.

✦ სოფ. აბელშენიდან გვატყობინებენ: ამ ორის კვირის წინად, ღამით, კეთილშობილთა მილიციის **ზოგიერთმა მეთაურებმა აბელ კალატოზიშვილის სახლის სახურავიდან ასტეხეს საშინელი სროლა** ხსენებულ სახლისკენ მომავალ ცხენოსნების წინააღმდეგ. ეგონათ, რომ გლეხკაცები მოდიან და დაცემას და აკლებას გვიპირებენო. მომავალმა ცხენოსნებმაც, რა კი თოფის ხმა გაიგეს, იფიქრეს, ალბად კალატოზიშვილის სახლს გლეხკაცები იკლებენო, და სროლით გასცეს პასუხი. ასტყდა საშინელი სროლა, ოთხმოცამდე ტყვია დაიხარჯა და ბოლოს, ორთავე მხარის სასაცილოდ, გამოირკვა, რომ მომავალი ცხენოსნები მილიციის მეთაური ზ. აბდუშელიშვილი და მისი ამალის ზოგიერთი წევრები ყოფილან.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსმა იშუამდგომლა ნამესტნიკის წინაშე: საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ ატესტატი მიეცეს წლიურ ნიშნების მიხედვით, ნება მიეცეთ მოწაფეთ ორის წლის კურსი ერთად ჩააბარონ, რეალურ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ მიეცეთ სიმწიფის მოწმობა მარტო ძველ ენებში გამოცდის შემდეგ, უფრო სუსტ მოწაფეს ნება ჰქონდეს იმავე კლასში მესამე წელიწადსაც დარჩეს. **ნამესტნიკმა ეს შუამდგომლობა შეიწყნარა.**

✦ ოთხშაბათს, 13 ივლისს, ტფ. გუბ. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე თავმჯდომარემ განაცხადა, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა კომიტეტის თავმჯდომარეობაზე კატეგორიულ უარს აცხადებსო. მაშინ ექ. გაბაშვილმა მოაგონა საზოგადოებას, ამ ორისა თუ სამის წლის წინად კრებამ დაადგინა, სკოლის კომიტეტს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უნდა თავმჯდომარეობდესო. კრებამ ეს დადგენილება განაახლა, ისე რომ, **ამჟამად კომიტეტის თავმჯდომარედ იქმნება ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი.** შემდეგ კრებამ კენჭი უყარა კომიტეტის დანარჩენს წევრებს. თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნა პარ. გოთუა, წევრებად—ივ. მაჭავარიანი, გრ. რცხილაძე და თავ. კ. მაყაშვილი. კომიტეტის დანარჩენ ორის წევრისა და სხვადასხვა კომისიების არჩევნები კრებამ ენკენისთვისათვის გადასდო, რისთვისაც საგანგებო კრება უნდა იქმნას მოწვეული.

✦ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში სამღვთო სჯულის მასწავლებელი ნ. პოკროვსკი მომავალ სამოსწავლო წლიდან ყველა მოწაფეებს, განურჩევლად ეროვნებისა, **ასწავლის ქართულ საეკკლესიო ისტორიას.**

✦ ენკენისთვიდან ტფილისის დედათა სასწავლებლის მერვე კლასში **შემოღებულ იქმნება სწავლება ფილოსოფიისა.**

✦ **ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკი“-ს რედაქტორ-გამომცემლად** კავკასიის ნამესტნიკმა დაამტკიცა **გ. პ. მელიქ-კარაკოზოვი.**

✦ როგორც ერევნიდან გვატყობინებენ, სისიმანდის თუჯის გადამდნობ ქარხნის **თოფის წამლის საწყობიდან** უცნობმა პირებმა მოიპარეს 11 ფუთი და 9 გირვანქა **დინამიტი**, 7 ხის ყუთით; 4 ფუთი და 14 გირვანქა თოფის წამალი და 129 კაპსული.

✦ სამშაბათს, 12 ივლისს, მე-7 საპოლიციო უბანში, ნავთლუღის გზაზე, ყაზარმებთან **იპოვეს ორის კახელ გლეხის გვამი.** გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ გლეხებს წინა დღით კახეთიდან ღვინო ჩამოუტანიათ და ერთ ავლაბრელ სირაჯისთვის მიუყიდნიათ. საღამოზე, როცა გლეხები სოფლისაკენ გზას გაუდგნენ და ყაზარმებს გაუსწორდნენ, მათ თავს დასცემია სამი ბოროტგანმზრახველი, რომელსაც მგზავრები დაუხოცნიათ და, რაც მათ ფული ებადათ (300—400 მ.), სულ წაუღიათ. ერთი დამნაშავეთაგანი გამოტეხილა და უთქვამს: «მართალია, გლეხები მოვკალით, ფულიც ავართვით, მაგრამ თან აღარა მაქვს,—დედას მივაბარეო. დამნაშავის დედა ცივ უარზე დგას.

✦ „ცნობის ფურცელს“ მანჯურიიდან ქართველთა ერთი ჯგუფი დეპეშით სთხოვს: გამოაცხადეთ, რომ **ხარბინში ფულის საშოვნელად წამოსვლა სახიფათოა,** აღარავის უშვებენ და ცხოვრებაც ძვირიაო.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა ამ დღეებში შეუდგა **საყურადღებო საკითხის გადაწყვეტას** ამავე სემინარიის მოწაფეთა სვე-ბედის შესახებ.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნულ იქმნა არღონის სამისიონერო სემინარიის რექტორი **არქიმანდრიტი გრიგოლი** (რუსი).

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსმა განკარგულება მოახდინა, მოაგარაკეთა სიმრავლისა გამო, 20 ივლისიდან **მცხეთასა და ტფილისს შუა დაინიშნოს კიდევ ორი განსაკუთრებული მატარებელი** №№ 459 და 460. № 459 ტფილისიდან მცხეთას გავა საღამოს 7 საათზე. № 460 მცხეთიდან გამოვა დილის 7 საათსა და 30 წუთზე, ტფილისში იქმნება დილის 8 საათსა და 5 წუთზე. მატარებელი № 24, რომელიც უქმე-დღეობით დადის—მცხეთიდან გამოვა ხოლმე საღამოს 8 საათზე. დრო პეტერბურგის საათით არის ნაჩვენები.

✦ სოფელ **ლოლოვანში** (ტფ. მაზრა) **საქონლის ჭირი** გაჩენილა.

✦ 13 ივლისს ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** უკანასკნელის **კლასის მოსწავლეებმა,** სკოლის გამგის ბ-ნის ხუნდაძის ხელმძღვანელობით, დაათვალიერეს ტფილისის საუფლისწულო ღვინის სარდაფი. მეღვინემ ა. ა. ეგოროვმა აჩვენა მოწაფეებს სარდაფის მოწყობილობა და ბოლოს გაასინჯა მათის საუფლისწულო მამულების საუცხოო სხვადასხვა ჯიშის და ხნოვანების ღვინოები.

✦ ჯელალ-ოღლის (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებლებმა—სომხებმა, ქართველებმა და რუსებმა—**შეიმუშავეს წესდება სახალხო სამკითხველოსი** და გუბერნატორს წარუდგინეს დასამტკიცებლად.

✦ ოთხშაბათს, 13 ივლისს, მოხდა კრება «ვაკის» მემამულეთა. კრებამ განიხილა გეგმა, რომელიც კადეტთა კორპუსის მიწებამდის სდებს მიჯნას, და დაავალა გ. მ. თუმანოვს, საბჭოში მოხსენებით შევიდეს ამ ნაწილის ქალაქთან შესაერთებლად და საბურთალოს შესახებაც.

✦ ოთხშაბათს, 13 ივლისს, ღამის 2 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, დიდი ცეცხლი გაუჩნდა გ. გიორგობიანის სახლს. რადგან წყალი არ იყო, დილის 4 საათამდის ეწვალა ცეცხლის მქრობელი რაზმი და მაინც ვერ ჩააქრო. შენობა ძირიანად გადაიბუგა. ზარალი 4000 თუმნისაა. სახლი 3000 თუმანშია დაზღვეული „იაკორში“.

✦ როგორც ბორჩალოს მაზრიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში ძლიერ ცეცხლს სრულიად გაუნადგურებია გიორგი მელიქოვის აგურხანა. აგურხანა ბოროტის განზრახვით გადაუწვავთ.

✦ ტფილისელ ყარაიმებს (ებრაელთა მოდგმისა) კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო სამლოცველოს აგებისა.

✦ რიონში დამხრჩვალა ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი ეპიტინი.

ფინლანდიის საქმეები

გაზ. „მოსკ. ვედ.“-ს მოჰყავს იონსონის მკვლელის ხოხენტალის ვექილის სიტყვა.

„რაკი ლენნარტ ხოხენტალის საქციელი ამ ჟამად გაბატონებულ რეჟიმის საწინააღმდეგო პროტესტია, ამიტომ აუცილებლად არის საჭირო, განვიხილოთ ის ახალი წესები, რომელიც 1899 წელს აქეთ შემოტანილია ჩვენში.

სხვადასხვა სახელმწიფო კანონების მიხედვით ფინლანდიის დამოკიდებულება რუსეთთან ამნაირად შეიძლება დაახასიათოს ადამიანმა: „ფინლანდია სახელმწიფოა, რომელსაც თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს და რომელიც დაკავშირებულია რუსეთთან“. ფინლანდიის ხალხი ცალკე სახელმწიფოს მქონე ხალხია, ხელმწიფეს შეუძლია გამოსცეს კანონები მხოლოდ ხალხის წარმომადგენელთა თანხმობით.

რუსეთის ბიუროკრატია ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა ფინლანდიის ამნაირ მდგომარეობას, მაგრამ მხოლოდ 1880 წელს აქეთ და განსაკუთრებით 1890 წლის შემდეგ, როდესაც რეაქცია გაბატონდა თვით რუსეთშიაც, მოითხოვეს ფინლანდიის სხვადასხვა პრივილეგიის მოსპობა, მისი მჭიდრო დაკავშირება რუსეთთან. რუსეთის ბიუროკრატიამ შენიშნა, რომ ფინლანდიის საკონსტიტუციო წეს-წყობილება, მისი შედარებით თავისუფალი და ბედნიერი საზოგადო ცხოვრება—რუსეთში თავისუფლების მოყვარეთათვის მისაბაძავი მაგალითი ხდებოდა, და ხალხს აქეზებდა ბრძოლისთვის ამავე წყობილების დასამყარებლად რუსეთში,—ამიტომ, ბიუროკრატიის აზრით, ყოველი ასეთი დაწესებულება უთუოდ უნდა მოსპობილიყო ფინლანდიაში. 1890-თან წ. მეორე ნახევარში ფინლანდიის მტრები იმ ზომამდის მივიდნენ, რომ თავიანთ მიზნის მისაღწევად მხოლოდ შესაფერ აღმასრულებელს ეძებდნენ; ბოლოს ასეთი კაციც მონახეს,—ეს იყო ნ. ი. ბობრიკოვი, რომლის მოღვაწეობას აქ დაწვრილებით არ შევეხებით, ვინაიდან იგი უკვე ცნობილია ყველასათვის.

გაიხსენეთ, როგორ სცდილობდნენ ფინლიანდიის „დაკავშირებას“, გაიხსენეთ „თებერვლის მანიფესტი“, კრებების აკრძალვა, ახალი სამხედრო ბეგრის წესები, რომელიც ფინლანდიის გასარუსებლად მეტად მოხერხებული იარაღი ჰგონიათ.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ ამით ძირითად კანონებს არღვევდა ბობრიკოვი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ ზომით მთავრობა ადვილად დაიმორჩილებდა ფინლიანდიელებს,—ხალხი და ადგილობრივი მოხელეები მთავრობას ხელში ჩაუვარდებოდა. ამის შემდეგ დანარჩენ ზომების შემოღებაც გაადვილდებოდა...

სამხედრო ბეგარის ახალ წესების შემოღების დროს ჩვენმა მოწინააღმდეგე ბობრიკოვმა და პლევემ ჰკუის დიდი სიმახვილე და გამჭრიახობა გამოიჩინეს. პირველში სცდილობდნენ გაეადვილებინათ ამ ბეგრის შესრულება ხალხისთვის, წელიწადში მხოლოდ 180 კაცი უნდა გაეწვიათ, შემდეგ გამოაცხადეს, ასზე მეტს არ გავიყვანთო. ძნელი წარმოსადგენია ამაზე მეტი ეშმაკობა ხალხის უფლებრივ გრძნობის მოსატყუებლად, ამაზე მეტი ზნედაცემულობა ხალხის მოსატყუებლად. მთავრობა ამასთანავე ოფიციალურად ირწმუნებოდა, ფინლანდიის „შინაური წესწყობილება“ შეუცვლელი დარჩება შემდეგშიაცო,—პრესსას კი, რომელსაც შეეძლო სიმართლის გამოძღლავნება,—შეუბრალებლად სდევნიდა მთავრობა...

მაგრამ ხალხი არ მოსტყუვდა ადვილად. სამხედრო ბეგრის ახალი წესები ძნელი შესასრულებელი შეიქმნა. მაშინ ისევ ძალადობას მიმართეს: სოფლის საზოგადოებებზე, სოფლის მოხელეებზე, სოფლის მოსამართლეებზე იხმარეს ძალა, მაგრამ როდესაც წინააღმდეგობის მოსასპობად ეს ზომა საკმარისი არ გამოდგა,—გენერალ-გუბერნატორმა ბობრიკოვმა დიქტატორის უფლებები გამოითხოვა, რომლის ძალითაც ყოველ კერძო ადამიანის თავისუფლება და ქონება მის თვითნებობაზე შეიქმნა დამოკიდებული, და ბოლოს ხომ ესეც აღარ იკმარეს და ჟანდარმებიც გაგვიბატონეს.

საშინელი დრო დადგა: ხალხს სდევნიდნენ, უფლებებს ართმევდნენ, ატუსაღებდნენ, ასახლებდნენ და აძევებდნენ ფინლანდიიდან; ერთის სიტყვით, ძალმომრეობა დამყარდა იქ, სადაც წინად ხალხი თვითონ მშვიდობიანად განაგებდა თავის საქმეებს.

ოფიციალურ ცნობების თანახმად, ფინლანდიაში მშვიდობიანობა იყო, ნამდვილად კი იქ ბრძოლა იყო გაცხარებული, თავისუფლება მტარვალობას ებრძოდა, ხალხი იბრძოდა ფინლანდიის ცალკე სახელმწიფოდ დასატოვებლად, იბრძოდა იმისთვის, რომ ფილანდიის ერი ცალკე ეროვნებად დარჩენილიყო: ეს ბძოლა დღესაც არ შეწყვეტილა. ამ ბრძოლაში ხან ერთი მხარე რჩებოდა გამარჯვებული, ხან კიდევ მეორე, მაგრამ როდესაც მოკვდა პლევე, როდესაც ბობრიკოვი მოკვდა, და მთავრობა იძულებული შეიქმნა ჯარის-კაცთა გაწვევაზე აეღო ხელი,—ჩვენს ხალხს შეუძლია იყოს დამშვიდებული შემდეგისათვის.

ბობრიკოვი სცდილობდა ახალ რეჟიმის შემოღებით მოესპო ფინლანდიის სახელმწიფო[illegible] და ეროვნული დამოუკიდებლობა, უნდოდა დაერღვია ფინლანდიის კონსტიტუცია, ხალხის წარმომადგენელთათვის უნდა მოესპო კანონმდებლობის უფლება.

რომ მიეღწია მიზნისთვის—ამით ფინლანდია დაჰკარგავდა დამოუკიდებლობას და მიიღებდა უბრალო თვითმართველობას და სავსებით იქნებოდა დამოკიდებული თვითმპყრობელ მეფეების სურვილზე.

უნდოდათ აგრეთვე ჩვენი ეროვნების მოსპობაც. უნდოდათ ჩვენში ოფიციალურ ენად გამოეცხადებინათ რუსული ენა, რუსული ენის გაკვეთილები მოემატებინათ სასწავლებლებში, სწავლა-განათლების საქმისათვის რუსულ ელფერი მიეცათ,—უნდოდა მამულიშვილურ გრძნობის მოსპობა ხალხში და სამხედრო ბეგრის შემოღებით სოფლელების გარუსებას ნატრობდნენ. ამნაირად გვსპობდნენ, როგორც ცალკე ეროვნებას, და გადაგვარების გზაზე გვაყენებდნენ!

ცხადია, რომ ჩვენ, ჩვენის უფლებების დაცვის დროს, შეგვეძლო ყველა ის საშუალება გვეხმარა, რომლითაც სახელმწიფო თავის არსებობას იცავს და ერი თავის განვითარების უფლებას. თავის დაცვის უფლება ყველას აქვს, ეს უფლება კანონის ძალითაც გვაქვს მონიჭებული.

საერთაშორისო მართლიერება თავის დაცვის უფლებას ანიჭებს ყოველ ეროვნებას. სხვა უფლებებთან ერთად მას ცალკე არსებობის უფლებაც ეკუთვნის, დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარების უფლებაც. ყველა

ეს ნათლად ესმის რელლინგს. იგი ხედავს, რომ, თუმცა იალმარი თავის დღეში არა შრომობს და ცოლისა და ქალიშვილის ჯაფით იკვებება, მაგრამ მაინც თავის თავს ოჯახის ბურჯად და მასაზრდოებლად სთვლის. რელლინგი ამას ხედავს და არა თუ არ ცდილობს მოსპოს ეს სიცრუე, არამედ არწმუნებს კიდეც იალმარს, რომ იგი არა-ჩვეულებრივი, დიადის ნიჭის კაცია და უთუოდ მოახდენს „გენიოსურ გამოკვლევას“.

ამნაირად, რელლინგი ჰქმნის იალმარის „ცხოვრების სიცრუეს“, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამნაირად შეუძლიან იალმარს ბედნიერი იყოს. ,,შენ ბედნიერი კაცი ხარ, იალმარ! შენ ასეთი ერთგული და კარგი ცოლი გყავს! ქალი ხომ უუმშვენიერესია! ყველა ამას დაუმატე ისიც, რომ შენ ,,გენიოსურ გამოკვლევას მოახდენ!'' და მართლაც იალმარი თავისებურად ბედნიერია.

რელინგმა ბედნიერება შეიტანა კანდიდატ მოლვიკის ცხოვრებაშიაც,—დაარწმუნა იგი, რომ მისი ლოთობა—შედეგია მის დიადის ბუნებისა.

რელლინგის ასეთმა მოქმედებამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ იალმარის ცხოვრებაში მშვიდობიანობა და ბედნიერება გამეფდა. ცოლს ძალიან უყვარს ქმარი, ქალიშვილი მამას თავს ევლება, და იალმარსაც უყვარს ორივენი. მაგრამ, აი, მოდის გრეგერსი „იდეალურ მოთხოვნილებითა“ და აზრებით; „ცუდი ატმოსფერაა აქ, შენს სახლში, იალმარ! ჰაერი შეხუთულია; გარეშემო მოცულია ბურუსითა და სიბნელით!“

როდესაც იალმარმა გაიგონა ასეთი სიტყვები, იგი შეკრთა და სწორედ ამ დროს გრეგერსმა უთხრა, რომ მისმა ცოლმა ოდესღაც ვერლესთან შესცოდა. საწყალი გრეგერსი! რა საშინლად შესცდა! მას ეგონა, რომ იალმარის ოჯახში განათლდებოდა ბედნიერება, ნამდვილი ბედნიერება, სიმართლეზე დამყარებული, მაგრამ მოსტყუვდა. იალმარს ეჭვი შეუვიდა, რომ გედვიგა, რომელიც ისე საშინლად უყვარდა,—მისი ქალიშვილი არ არის. და, აი, სწორედ ახლა იალმარის არარაობა, წვრილმანი ხასიათი და ცივი ეგოიზმი ნათლად გამოიხატა მისს საქციელში. იგი თავიდან იშორებს, აგდებს მოსიყვარულე ბავშვს. ხედავს, რომ გედვიგა სასოწარკვეთილებას ეძლევა, სტირის, მაგრამ მაინც ეუბნება, ნუ დამენახვები, მომშორდიო. გრეგერსის მოქმედებას შედეგად ის მოჰყვა, რომ გედვიგამ თავი მოიკლა: როდესაც საწყალი გოგონა დარწმუნდა, რომ მამის სიყვარულს ველარ დაიბრუნებს, დამბაჩა დაიცა გულში და სული განუტევა.

იალმარის ოჯახის ბედნიერება ამნაირად მოისპო. გრეგერსი განცვიფრებული იდგა და ვერაფერი ვერ გაეგო, მაგრამ რელლინგი უხსნის მას: „როდესაც ცხოვრებისგან დატანჯულ კაცს ართმევთ „ცხოვრების სიცრუეს“, უსპობთ ილიუზიებს, ამით მას მთელ ბედნიერებას ართმევთო“.

„ცხოვრების სიცრუე“ ჩვეულებრივი ადამიანისთვის ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორც ჰაერი“. ეს არის დედა-აზრი ამ საუცხოვო დრამისა. იბსენს რელლინგის მხარე უჭირავს. ვისა სთვლის იგი ჩვეულებრივ კაცად? იალმარს, ლეიტენანტ ეკდალს და ლოთ მოლვიკს! და აქედანა სჩანს, რა პესსიმისტურად უყურებდა ხალხს ნორვეგიელი დრამატურგი! იალმარისთვის, შეიძლება, „ჩვეულებრივი კაცი“ გვეწოდა ახალგაზდობის დროს, ახლა კი მასზე უმნიშვნელო ადამიანი ძნელად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ყველა თავის წინანდელ დრამებში იბსენი ცდილობდა მოესპო სიცრუე, რომელზედაც დამყარებულია ცხოვრება საზოგადოებისა და ოჯახისა. მაგალითებად შეგვიძლიან მოვიყვანოთ „ბრანდი“, „სიყვარულის კომედია“, „ნორა“, „მოჩვენებანი“ და „ხალხის მტერი“. ახლა კი, როდესაც იბსენს გული გაუტყდა და ხალხისა აღარა სწამს-რა, იგი თავის თავს თვითონვე დასცინის სიმართლის მქადაგებელ გრეგერის სახით. ახლა, იმის აზრით, საჭირო არ არის ადამიანმა იბრძოლოს სიმართლისათვის,—სულ ერთია, ხალხს არ შეუძლიან სიმართლით ცხოვრებაო! ყველა ჩვეულებრივი მომაკვდავი გაურბის სინამდვილეს და ცხოვრობს სიცრუით, ილიუზიებითა და თავის მოტყუილებით, როგორც გარეული იხვი.

ასე სასტიკად ჰკიცხავს იბსენი ადამიანს, მაგრამ „საბოლოო განაჩენს“ ჯერ არ უცხადებს. ამ განაჩენს ჩვენ ვნახავთ მეორე დრამაში, რომელსაც სახელად ჰქვიან „ზღვის ქალი“.

შალვა ნათაძე.

კაზაკთა წოდება

ამ ბოლო დროს მწერლობაში ხშირად შეხვდებით იმ აზრს, რომ საჭიროა მოისპოს კაზაკთა უპირატესობით მოსილი წოდებაო. უთითებენ იმ გარემოებაზე, რომ კაზაკობა აღარ შეეფერება არც თანამედროვე სამხედრო ხელოვნებას, არც საზოგადო ცხოვრების კულტურულის ზრდასაო.

კაზაკთა მოდგმა რომ რევოლუციურ ელფერით იქარგება—ამას ეჭვი არა აქვს: იგი დაუძინებელი მტერი იყო ბატონ-ყმობისა და მონობისა, იგი მუდამ ტრფიალი იყო „თავისუფლებისა, ვაჟკაცობისა, დამოუკიდებლობისა“ („ნოვოსტი“ № 131), წარსულში კაზაკები მეტად ენათესავებოდნენ შუა საუკუნოების რაინდებს... მაგრამ დრო შეიცვალა და შეიცვალა საზოგადო ცხოვრების პირობებიც. ის, რასაც ძველად ტრუბადურები ხოტბას ასხავდნენ და რომანტიულის ელფერით მოსავდნენ, დღეს ძალმომრეობად, მტაცებლობად არის აღიარებული... ,,დონის კაზაკი მაინცა-და-მაინც არ ეტრფის ფიზიკურს შრომას''—ამბობს ერთი დონის კაზაკი გაზ. „ნოვოსტში“ (№ 131). ეს საბუთიც საკმაო ნათელს ჰფენს იმ მოვლენას, რომ კაზაკთა წოდებას არ შესწევს ძალ-ღონე მშვიდობიან კულტურულ ცხოვრებისათვის... თუ თვითონ ღვიძლიშვილი დონის კაზაკებისა ასე ახასიათებს თავის თანამოძმეთ, რომელნიც რუსეთის გლეხობასთან უფრო ახლო დგანან, მაშ რაღა გვეთქმის ყუბანისა ან თერგის ოლქის კაზაკობაზე, სადაც უცვლელად შენახულა კაზაკის ძველებური ტიპი?.. თერგის ოლქის კაზაკობაზე საკმაოდ სარწმუნო მასალები გვაქვს ხელში. ეს კავკავში შემდგარ იმ კომისიის ოქმებია, რომელსაც თერგის ოლქში ავაზაკობის გამოკვლევა ჰქონდა მინდობილი. 1905 წ. 17 მაისის კრებამ, სხვათა შორის, აღიარა, რომ „ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობა თერგის ოლქში დღითი-დღე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ კაზაკობა აქ უფრო დაკმაყოფილებული და უზრუნველყოფილია, ვიდრე სხვაგან სადმე“. კომისიის აზრით, ამისი სათავე კაზაკთა ადმინისტრატიულ-უფლებრივსა და გონებრივს მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ „მეტად სამწუხარო სურათი გეშლებათ თვალწინაო“. „თუმცა მთავრობამ რამდენჯერმე სცადა ადგილების გაფართოვებით ეშველნა ამ საკითხისათვის, მაგრამ, ვიდრე კაზაკობა არ გაუთანასწორდება სახელმწიფოს საზოგადო მოქალაქობრივს ცხოვრებას, არაფერი ეშველებაო...“ დღეს, როდესაც რუსეთის მკვიდრი მუდმივის სიმშილობით და მიწა-წყლის უქონლობით გადაგვარებისა და ამოწყვეტის გზაზე დაქანებულა, თერგის ოლქის კაზაკობას კომლზე 121 დესეტინა (242 დღიური) მიწა აქვს, უთვალავი შემოსავალი აქვს ნავთის წარმოებიდან და სალაშქრო მიწებიდან, მილიონობით აქვს თანხა, ათასის სტიპენდიითა და დახმარებით სარგებლობს მთავრობის მხრივ... ამის მიუხედავად არც მეურნეობასა და არც გონებრივ თუ ზნეობრივ განვითარებაში წინ-სვლა არ ეტყობა კაზაკობას. მაშ რითი შეიძლება ავხსნათ ასეთი საოცარი მოვლენა, თუ არა იმით, რომ კაზაკობა განცალკევებულ, განსაკუთრებულ პირობაში ჩაუყენებია მთავრობას და მთლად მოუწყვეტია სახელმწიფოს დანარჩენ მკვიდრთა მდგომარეობისაგან!..

ოცდათოთხმეტ გუბერნიიდან, მხოლოდ დონის ოლქი აღმოჩნდა მოუმზადებელი ერობის შემოღებისათვის. კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია დონის ოლქში ერობის მოუწყობლობის მიზეზები, ამბობს მესამე მუხლში: „საერობო დაწესებულებათა ჩამოშორება სალაშქრო დაწესებულებათაგან და მათი არა სამხედრო, არამედ ჩინოვნიკური ორგანიზაცია არის უმთავრესად ერობის შემაფერხებელი მიზეზიო, რადგან სამხედრო წესწყობილებას მიჩვეულმა კაზაკობამ ვერ შეიფერა ერობაო“. („პრავდა“ 1903 წ. № 4). თერგის ოლქის კაზაკობაზე თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მის საუკეთესო, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, შვილებს—ჩინოვნიკებს მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ: „ყველაფერი კაზაკებისათვის, არაფერი დანარჩენთ“. თუმცა კაზაკთა რიცხვი თერგის ოლქში 19 პროცენტს არ აღემატება...

ახლა კაზაკობის პოლიციურსა თუ ადმინისტრატიულ მოღვაწეობაზე გადავიდეთ.

დეპეშამ ცნობა მოგვიტანა, რომ ნოვოჩერკასკის საზოგადოება მეტად დააფიქრა და შეაშფოთა იმ ამბებმა, რომ კაზაკები ქალაქებსა თუ დაბებში მეტად უდიერად იქცევიან და ძალმომრეობას ხმარობენო“. არა ნაკლებად აღაშფოთა მთელი რუსეთი იმ ცნობებმა, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილს „სამშობლოს მოსარჩლე“ და „წესიერების დამცველი“ კაზაკები მოსწავლე ახალგაზდობასა და მშვიდობიან მკვიდრთ ზურგზე ბოლს ადენდნენ...

მართალია, „შეამბოხეთა მოსარჯულებლად“ მთავრობა ჰგზავნის კაზაკებს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მთავრობა **უპირატესობას** აძლევს მათ ამ საქმეში, ვიდრე დანარჩენ ჯარს. რათა? ცხადია იმისათვის, რომ ყველამ იცის მათი სიმკაცრე და გულქვაობა, რომელიც მეტის-მეტის ერთგულებით სიმხეცემდე აღწევს.

კაზაკთა გულითადი ტრფიალი წესიერების დასამყარებლად იქამდე მიდის, რომ ჯარის კაცებთანაც კი მოსდით შეტაკება. თუმცა ჯარის კაცებიც იმ ,,გაუნათლებელ და დამონებულ ტეტიები''-დან გამოდიან, რომელთაც კაზაკობა გულზვიადად ზევიდან დასცქერის, მაგრამ სჩანს, მათს გულში უფრო შეუშუქებია ადამიანურს გულის სითბოს, ვიდრე მოამაყე კაზაკობის გულში.

გადავიდეთ კაზაკთა ადმინისტრატიულ მოღვაწეობაზე.

დღეს, როდესაც კაზაკობის ღვაწლ-მოსილობა მთელს ქვეყანას მოეფინა, როდესაც კაზაკებს ბავშვების დასაშინებელ სახელად სცნობენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ მათი ადმინისტრატიული მოღვაწეობა შესაძლებელი, მოსახერხებელი იყოს.. დღემდე კაზაკებს მხოლოდ ერთის, ორის საათით ათქერინებდნენ ქუჩებს და აწიოკებინებდნენ ხალხს... მაგრამ თუ მთელს ოლქებს, მილიონობით მოსახლეთ, მათ საპარპაშოდ გახდიდნენ, წარმოუდგენელი იყო...

ასეთი ოლქები კი გვაქვს დღესაც. ნიმუშად თერგის ოლქი ავიღოთ, რადგან ეს 1) ოლქი კაზაკთა სრულს გამგეობაშია, 2) ადგილობრივი კაზაკობა პირვანდელ წინაპართ არ გასცილებია და 3) მის გამგეობაში რუსობა კი არა, ადგილობრივი მთიულთა ერებია, რომლებთანაც კაზაკობას ისტორიის მტრობა და სისხლის ღვრა მოსდგამს. ვნახოთ, რა აზრისაა ადგილობრივი რუსის საზოგადოება, მაგ., კავკავში, წლევანდელ 31 იანვრის კერძო კრებაზე, ერთხმად დაადგინეს, რომ „დღითი-დღე გამრავლებული ძარცვა-გლეჯა შედეგია ქვეყნის კაზაკურ გამგეობისა. საზოგადოდ იქაურ ადმინისტრაციას და კერძოდ თერგის ოლქისას **თავისის თვითნებობით** მოთმინებიდან გამოჰყავს არამც თუ ადგილობრივი მკვიდრნი, არამედ რუსებიც: თავის ნებით ხმარობს მოსახლეთაგან მოკრეფილს ხარჯებს და არც სკოლებს, არც გზებს, არც სამკურნალოებს, არც გამიჯვნის საქმეს ყურადღებას არ აქცევს“. 3 თებერვლის კავკავის საბჭოს სხდომაზე ფაივიშევიჩმა უფრო გარკვევით აღნიშნა: „საოლქო გამგეობის შემოღებისას, ადგილობრივ ადმინისტრაციის გულის-ყური თითქმის მხოლოდ კაზაკების წოდების სარგებლობისაკენ მიიმართა, უმრავლესობის ინტერესთა გასათელად. საოლქო მართველობა, როგორც ადმინისტრატიული ერთეული, საგუბერნიო დაწესებულებათა წინააღმდეგ, ნამდვილ წოდებრივ დაწესებულებად გარდაიქცა“.

ხაზინის ფისკალურს ინტერესებს რომ შევეხოთ, აქაც დავრწმუნდებით, რომ კაზაკობა არც ისე იაფად უჯდება მთავრობას, როგორც ბევრსა ჰგონია...

საზოგადოდ რომ ავწონ-დავწონოთ კაზაკობის ადმინისტრატიული, მოქალაქობრივი თუ პოლიციური ღირსება და ნიჭი, დარწმუნდებით, რომ თანამედროვე კულტურისა და მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარებას შესამჩნევად აფერხებს კაზაკთა წოდების არსებობა.

ამათანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის ათ-მილიონიან კაზაკთა წოდებას დღემდე ფერ-უცვლელად შერჩენია პირვანდელ ადამიანის ველური ინსტინქტებით (ალლო), რომელიც მდარე კულტურის მოთხოვნილებასაც კი არ შეეფერება (ნ.).

ვ. გ. დ.

ხალხს ამ მხრივ იგივე მიზანი აქვს მისაღწევი და თავის დაცვა, თავის არსებობის დაცვა ყველა ეროვნებას შეუძლია დედამიწაზე.

აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ფინლანდია ავტონომიური სახელმწიფოა და არა სრულიად დამოუკიდებელი, მით უფრო, რომ ჩვენი განადგურება ჩვენთან დაკავშირებულ სახელმწიფოს გულისთვის უნდოდათ. მთავრობის მხრივ კანონის დარღვევას ხალხის ერთმა ნაწილმა პასსიური წინააღმდეგობა გამოუცხადა და გაუწია.

ხალხის ასეთი მოქცევა ბუნებრივია და მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან უკანონო ბრძანების ასრულება მისი დაკანონება იქმნებოდა. ამიტომ ყოველ ადამიანის, ყოველ მოხელის მოვალეობაა—უკანონო ბრძანების აუსრულებლად დატოვება ხალხის საკეთილდღეოდ.

მაგრამ მთავრობის ძალმომრეობას ყველამ ერთხმად და ერთობით არ გამოუცხადა წინააღმდეგობა. ბევრია კერძო ადამიანი და მოხელე, რომელთაც მუხლ-მოდრეკით გამოუცხადეს მორჩილება უკანონობას!

ის მოხელე, რომელიც უკანონო ბრძანებას ასრულებს,—ამით თვითონაც უკანონობის მონაწილედ ხდება, არღვევს თვითონაც კანონს, რომლის ასრულება მისთვის არის სავალდებულო.

პროკურორი კანონის პირველი დამცველი უნდა იყოს და ცდილობდეს, რომ სხვებმაც არ დაარღვიონ კანონი. ამჟამად მოკლული პროკურორი კი არაფრით არ უწევდა წინააღმდეგობას ახლად შემოსულ უკანონობას, ხელსაც უწყობდა უკანონო ბრძანების შესრულებას და გულგრილად უყურებდა ხალხის ერთგულ მოხელეების დათხოვნას.

ამიტომაც იყო, რომ ხშირად ეს პროკურორი უარს ამბობდა სხვადასხვა უკანონობის ჩამდენ მოხელეთა საწინააღმდეგოდ საქმის დაწყებაზე და ყურადღებასაც არ აქცევდა იმ მოხელეთა ძალმომრეობას, რომელნიც ახალ რეჟიმის ერთგულნი იყვნენ; ადმინისტრაციის მოხელეებს ხელს აფარებდა. და თვითონაც იღებდა მონაწილეობას ახალ რეჟიმის დამყარებაში.

უკანონო ბრძანებებს კანონიერად სთვლიდა და პასუხისგებაში აძლევდა იმათ, ვინც ამ უკანონო ბრძანებების შესრულებაზე უარს აცხადებდა საჯაროდ. რჩევას აძლევდა გენერალ-გუბერნატორს, ადმინისტრაციას და ამნაირად ფაქტიურად ჩვენი მტრების მოსამსახურედ გამოდიოდა, მათ წინამძღოლად, გზის მაჩვენებლად.

ჟანდარმებს კანონიერ მოხელეებად სთვლიდა, რუსულ ენის დამყარებას ხელს უწყობდა და ცდილობდა მის უწყებაში მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე შემოსულიყო.

ამას სჩადიოდა კანონის მცველი! ადგილობრივ ენებს იქითკენ ისვრის და სამაგიეროდ შემოაქვს რუსული!

საზოგადოდ, იმის მაგივრად, რომ ხალხის ინტერესები დაეცვა—მისი მტერი შეიქმნა...

ამბობენ, გულში ხალხის კეთილ-დღეობა ჰქონდაო მიზნად, უნდოდა მეტი უბედურება აეცილებინა ხალხისათვის, მაგრამ ეს გამართლება არ არის, ვინაიდან ხალხის საწინააღმდეგოდ მოქმედებას სჯობდა სრული უმოქმედობა.

ლენნარტი ხოხენტალის საქციელი ახლა ყოველთვის ადვილი გასაგებია. მას უნდოდა პროტესტი გამოეცხადებინა რეჟიმისთვის და ამ რეჟიმის მოსასპობად... იონსონი მოჰკლა.

ახალ რეჟიმის ბატონობა დამყარებული იყო ხიშტებზე, ძალით სპობდნენ ყოველგვარ წინააღმდეგობას. ხალხი კვნესოდა, ირღვეოდა საზოგადო წესწყობილება. აგერ, აგერ გავიმარჯვებთო,—ჰფიქრობდნენ ამ რეჟიმის წარმომადგენელნი... ხალხი გაჩუმებულია, ყველა ასრულებსო ბრძანებას... ყველა სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა...

მაგრამ აგერ, ევგენი შაუმანი გამოდის. იგი ხედავს თავის ერის უბედურებას, საშინელ დამცირებას გრძნობს. ...კიდევ ცოტა და მან გადასწყვიტა;—მტარვალი მისი ხელით დაეცა.

და უცებ, თითქო თვალი აიხილა ხალხმაო! ხალხმა ისევე გაბედა ფიქრი, ხალხმა მომავალი ირწმუნა ისევ. თავისუფლების სიომ დაჰბერა ყველგან! რას ამბობენ ევგენი შაუმანის საქციელზე?

ფინლანდიის ხალხმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ამაზე.

სხვაფრივ არც შეიძლება,—უნდა გავითვალისწინოთ ყველა უსამართლობა, უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხს შეუძლია მოიკრიფოს ძალ-ღონე და გადარეცხოს მთელი უსამართლობა, აღადგინოს თვითონვე კანონიერება,—ამით კერძო პირთა ზოგიერთი საქციელიც ადვილი ასახსნელია,—ამ მხრივ მათი მოქმედება ხალხის უფლებათა დაცვაა, ხალხის ქომაგობა და სამსახური

და როდესაც არსებულ რეჟიმში ჩვენის უფლებების მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ძალით მოესპოთ ჩვენთვის თავისუფლება, როდესაც თითქმის გამარჯვებულნიც იყვნენ და სიხარულსაც აღარ მალავდნენ, დღესასწაულობდნენ ხალხის დამარცხებას, და დამონებას, ნუ თუ საკვირველია რომ ამის მნახველი ზოგიერთი ადამიანი ვერ აიტანდა ამ სურათს, მოისურვებდა ძალმომრეობის ჩამდენთა მოსპობას, ჯავრის ამოყრიდა მათზე და ამით თავის ერის მდგომარეობას შეამსუბუქებდა?!

ამ ორმა ძალამ: ერთის მხრივ თავის ეროვნების დაცვის სურვილმა და მეორეს მხრივ კი ამ ეროვნების შემავიწროებელთა დამხობის მოთხოვნილებამ, ზოგიერთ ახალგაზდას ასეთი რამეები ჩაადენია მათ უყვარდათ თავისი მშრომელი ერი, მათ ამოქმედებდათ თავისუფლების სიყვარული,—თუმცა იცოდნენ, რომ ამით თავის თავსაც ღუპავდნენ უთუოდ".

რუსეთი

ფინანსთა და გზათა სამინისტროებმა ბრძანება გასცეს, უცხოეთიდან გადმოტანილი საქონელი საზღვრებზე დაწვრილებით უნდა გაისინჯოსო. ეს ბრძანება იმან გამოიწვია, რომ უკანასკნელ დროს საზღვარ-გარეთიდან რუსეთში **აუარებელი იარაღი შემოაქვთ** (რ. ვ.).

✦ უცხოეთის გაზეთების ცნობით, **ებრაელებს რუსეთში შემოსვლა აეკრძალათ**. საზღვარზე უშვებენ მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომ ებრაელებს, ისიც, რასაკვირველია, საიმედოებს (რ.)

✦ ხვალ პეტერბურგის ზოგიერთ ეკლესიებში გადახდილ იქნება პანაშვიდი 9 იანვარს **პეტერბურგში დახოცილთა სულის მოსახსენებლად.** ამ დღეს ნახევარი წელიწადი სრულდება 9 იანვრიდან (რ. ვ.).

✦ პეტერბურგის საკანტროლო პალატის მოხელეებმა ამ ორის თვის წინად თავიანთ უფროსს განუცხადეს, რადგან წითელ ჯვრის ქონებას სძარცვავენ და იპარავენ, ამიტომ დღეის იქით თვიურ ჯამაგირის 3% აღარ შევწირავთ და გთხოვთ, ეს ფული აღარ დაგვიჭიროთო, მაგრამ მთავრობა დღესაც უჭერს თვიურ ჯამაგირიდან **„შეწირულებას" წითელ ჯვრის სასარგებლოდ.** მოხელეები უმაღლეს მთავრობასთან აპირობენ ჩივილს (რ.).

✦ ოდესის გრადონაჩალნიკმა უბრძანა ოდესის საბჭოს, უკანასკნელ არეულობის დროს დაზიანებულ და **დაშავებულ პოლიციელებს** საჩუქარი—თითოს 50 მან. მიეცითო (რ.).

✦ 26 ივნისს ფეოდოსიაში გაამწკრიევს ერთი როტა ჯარი ვილნოს პოლკისა, რომელმაც ფეოდოსიაში მისულ **„პოტიომკინის" მატროსებს თოფები დაუშინა** და ბევრი მათგანი დახოცა. ამ როტასთან მივიდა პოლკოვნიკი გერციკი და „ერთგულ სამსახურისთვის" მადლობა გადაუხადა. ამ დროს იქვე ბუჩქიდან სამჯერ გავარდა თოფი. დაიჭრა ერთი აფიცერი, მოკლულ იქმნა 1 სალდათი. მსროლელი აღმოჩნდა იმავე როტის სალდათი, რომელიც გაბრაზებული იყო პოლკოვნიკზე იმიტომ, რომ მან მატროსები დაახოცინა (რ. ვ.).

✦ ვარშავის პოლიცმეისტრად ნამყოფი ბარონი ნოლკენი, რომელიც წელს ყუმბარით დასჭრეს, დაზღვეული იყო „სალამანდრას" საზოგადოებაში. ნოლკენმა პრემია მოითხოვა, მაგრამ საზოგადოებამ უარი უთხრა, ჩვენ **რუსეთის პოლიციელის სიცოცხლეს ვერ დავაზღვევთო** (რ. ვ.).

✦ დამზღვევი საზოგადოებანი **აღარ აზღვევენ ჟანდარმებისა, კაზაკებისა და პოლიციელების სიცოცხლეს** (რ. ვ.).

მოძრაობა აფხაზეთში

იმ განმათავისუფლებელმა დიდმა ტალღამ, რომლიც კიდით-კიდე ასე მძლავრად მოედო მთელს საქართველოს და ძილად მიცემული ხალხი ზეზე დააყენა, აფხაზეთიც აახმაურა და აადელვა: ხალხი აზვირთდა და აღსდგა, გარნა მკაფიოდ და გარკვევით ვეღარ წარადგინა თავისი მოთხოვნილებანი.

ამჟამად მოკლედ აღვნუსხავ მოძრაობას აფხაზთა შორის. გურულებს პირველად გამოეხმაურნენ დასავლეთ აფხაზეთის (ბზიფის) მცხოვრებლები. ბიუროკრატიის უგვანო მოქმედებით დიდის ხნობით გულში შეგუბებულმა მძულვარებამ რეალური სახე მიიღო და კინაღამ მოთმინების ძაფი გაწყდა... მაგრამ შემდეგ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელთა აღნუსხვა აქ შეუძლებელია, მოითხოვეს მხოლოდ სარწმუნოების თავისუფლება, გათანასწორება კანონის წინაშე, საზოგადოდ მიწად-მფლობელობის მოსპობა და „უკანონო" გადასახადების მოსპობა. უკანონოს რომ ვამბობ, აი, საქმე რაშია. როგორც დასავლეთის, აგრეთვე აღმოსავლეთ აფხაზეთის მეზობლად რუს-მოლდავან-ესტინელთა რამოდენიმე კოლონია არსებობს; დღიდან მათის დაარსებისა, რაც მოსახლეებს ეკარგებათ, იმისა ფასი აუცილებლად უნდა უზღოს აფხაზთა იმ სოფელმა, რომლის საზღვრამდის მიიტანეს დაკარგულ პირუტყვის კვალი.

ვინც იცის, თუ როგორაა აფხაზეთში ქურდობა გავრცელებული, ის ადვილად წარმოიდგენს იმ მძიმე ხარკს, რომლის სიმძიმის ქვეშ გმინავდა ბედკრული ერი. სიტყვა რომ არ გავაგრძელო, მოვიყვან შემდეგს ნამდვილს ფაქტს: ერთმა სოფელმა ოცის წლის განმავლობაში ამ სახით მოსახლეებს გადაუხადა დაახლოვებით ოცდა ორი ათასი მანათი ფულად, ესე იგი ორთა-შუა რიცხვით, თვითოეული კომლი ყოველ-წლივ იხდიდა სამ მანეთსა და 33½ კაპეიკს! ეხლა სულზე რომ გადაიტანოთ ის შრომა, მოცდენა და ხეტიალი, რასაც თვითოეულ დაკარგულ ცხენის თუ ხარის გამო ეწეოდა აფხაზთა საზოგადოება, ერთ ჩემს ნაცნობ აფხაზთან ერთად თქვენც აღიარებთ, რომ გარემოებას აფხაზნი გადაუქცევია მეწველ ძროხებად რუს-ესტონ მოლდავან მოსახლეთათვის!

ბიუროკრატიით ზურგ-მომაგრებული მოსახლენი რაებს არ ჩადიოდნენ: დაკარგულ საქონლის ფასს თვითონვე სწყვეტდნენ, ერთ და იმავე საქონლის ფასს ორჯერ ახდევინებდნენ და სხვა. ყოფილა მაგალითი, რომ ჯაში ჩამხრჩვალ ჭაკის ფასად ასი მანათი გადაუხდია და შემდეგ ეს ფაქტი გამოაშკარავებულიყოს! აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც აფხაზნი მოსახლენი დანაკარგს უზღავდნენ, თვით მათი დანაკარგი ყურადღების ღირსადაც არავის მიაჩნდა; ეკარგებოდათ კი ბლომად. მაგალითად, ერთს ოჯახს ცხრა წლის განმავლობაში 44 სული საქონელი მოჰპარეს! აი, სწორედ ამან და ბევრმა სხვა უსამართლობამ აფხაზთ წარმოათქმევინა მწარე ჭეშმარიტება: „ავი დედინაცვლის გერები ვართო!"

დღესაც ბზიფელებს აქვთ გაწერილი გადასახადი თერთმეტი თუ თორმეტი ათასი მანათი, რომლის გადახდაზედაც უარი განაცხადეს და თავისს გარდაწყვეტილებას ჯერაც მტკიცედ ადგანან—ამიტომ ვიხდით სახელმწიფო გადასახადსა თუ საერობოს, რომ ავი კაცისაგან დაგვიფაროთო. და არა უდანაშაულო მცხოვრებთ, ქურდ-ბაცაცთ მაგიერ, სასჯელი მოგვაყენოთო,—ამბობენ აფხაზნი.

დაიწყო მღელვარება და მოძრაობა თუ არა, აფხაზებმა თვალები მოიფშვნიტეს, გარემო მიიხედ მოიხედეს და ბევრი უსამართლობა დაინახეს და ზოგიერთი მათი გამოსწორება თავისივე ძალით მოინდომეს.. პირველად ამ წლის ორს მარტს ლიხნელ აფხაზებმა შემოიერთეს ის ორმოცი დესეტინა მიწა, რომელიც ამ რამოდენისამე წლის წინად იმათ ჩამოუჭრეს და რუს მოსახლეებთ ბოძებულად მიუზომეს, მიუხედავად იმისა, რომ თვითოეულ მოსახლეს აქვს მოზომილი ათ-ათი დესეტინა, აბორიგენ-აფხაზთ კი 3—7 დესეტინამდის! ზემოხსენებულ ნაჭერ მიწის გამო ლიხნელთ დიდი ხვეწნა-მუდარა გასწიეს, მაგრამ ამაოდ, და აი, ამიტომაც თავისს მკლავის ძალას მიჰმართეს მაგრამ ამანაც უმტყუნა...

იმავე მარტის ხუთსა თუ ექვსს, ზოგიერთი მებატონე-„დაჩნიკები" (ესენი დღითი დღე სოკოსავით მრავლდებიან ამ კუთხეში)—ცოტათი შეაშინეს. რას ერჩოდნენო, იკითხავთ, და აი რას: „დაჩნიკებიც" იმავე კანონის წყალობის ქვეშ არიან, როგორც კოლონისტები,—რაც ეკარგებათ, იმისი ფასი აფხაზებმა უნდა უზღონ,—ამჟამად 6—7 ათასი მანათი უნდა გადაუხადონ მათ; და მეორეც, მეტის მეტად ავიწროებენ, უჭერენ რა საქონელს აფხაზებს: თითო სულ საქონელზე, მიუხედავად ზარალისა, 3—5 მანათამდის ახდევინებენ. ბედკრულ აფხაზთათვის ნიხრიც კი არ არსებობს.

5 მარტს, ღამით, გადასწვეს ზვანდრიფშის სასოფლო სკოლაც.

აფხაზთა სოფელი აცის მეტად შეწუხებული იყო რუს-მოსახლეებთაგან. ასე გასინჯეთ, საქონლისთვის მდინარესთან ჩასავალი გზაც აღარ მისცეს იმ აფხაზთ, რომელთა ნამოსახლარზედაც თვითონ მოსახლეობენ! აცელებმაც ორასამდის დესეტინა მიწა, წინად მათი კუთვნილი, რუსთაგან ისევ უკან დაიბრუნეს, რასაკვირველია, დროებით, სანამ პოლიცია ღონეს მოიკრებდა.

ბნელი ძალები პირველად დაიბნენ, გზა-კვალი დაეკარგათ, მერე კი ისევ გონს მოვიდნენ და კვლავ ჯოჯოხეთურ მუშაობას შეუდგნენ: ზოგიერთ გავლენიან აფხაზ თავად-აზნაურთა შემწეობით აბობოქრებული ხალხი შეუსისინეს ადგილობრივ მცხოვრებ ქართველთ—ყველა თქვენი უბედურების მიზეზნი ესენი არიანო, ჰკა მაგათო,—და კინაღამ ის უბედურება არ დატრიალდა, რაც ბაქო-ნახიჩევანში, კინაღამ უდანაშაულოთა სისხლით არ მოირწყო გუდაუთის ქუჩები, რომ უბრალო შემთხვევას არ ეხსნათ!

აღმოსავლეთ აფხაზეთში კი საზოგადოება უფრო დამშვიდებით იყო. მარტო სამი საზოგადოება—ილორის ტამიშის და ამგიბჟისა სავსებით მიემხრო ახალ მოძრაობას. 8 დანარჩენ სასოფლო საზოგადოებაში ხალხი თუმცა მღელვარებდა, მაგრამ მაინც მათში, ახალ მოძრაობას რეალური ფორმა არ მიუღია.

აფხაზთ ერთი მამა-პაპეული ჩვეულება აქვთ: საყოველთაო, საზოგადო საქმე მთელის ხალხის წარმომადგენელთა თანხმობით უნდა გადაწყდეს ხოლმე. ასე იქცეოდნენ ყოველთვის, ასევე იქცევიან დღესაც. აი, ამ თავისთავად მშვენიერმა და სასარგებლო ჩვეულებამ ხელი შეუშალა „ერთობის" საქმეს, როგორც მას აქ ეძახიან. ზოგიერთ დაინტერესებულ პირთა მოთავეობითა და მთავრობის ნებართვით, პირველად, მარტის ბოლო რიცხვებში, სოფელ ტამიშში, მერე, 5 აპრილს, სოფელ მოქვში მოხდა მთელის აბჟუის (აღმოსავლეთ აფხაზეთის) მცხოვრებთა წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც გადასწყვიტეს: ახალ აზრთა მქადაგებელთაგანი არავინ შემოუშვან და თავად-აზნაურობასთან ერთად შეადგინონ პეტიცია მთავრობისთვის მისართმევად. პეტიციის შედგენა დაავალეს თავად ალექსანდრე შერვაშიძეს, მაგრამ ესეც აღარ მოხსენდა, ჩაიშალა; შემდეგ კრებაზე კი გამოირკვა, რომ გლეხობას არ შეუძლიან თავად-აზნაურობასთან ერთად მოქმედება... ამიტომაც იყო, რომ გლეხობამ ცალკე და კეთილშობილ წოდებამ ცალკე შეადგინეს დეპუტაცია ნამესტნიკთან გასაგზავნად და თავის „მოთხოვნილებათა" წარსადგენად.

საზოგადოდ, სჩანს რაღაც უხილავი ძალა, რომელიც ყოველ საშუალებას ხმარობს, ხალხი ააცილოს ეხლანდელ საგულისხმიერო მოძრაობას და მისი უგუდითადესა მისწრაფებანი „უმორჩილეს თხოვნებითა და არზებით" შეზღუდოს, მაგრამ, მგონია, საწადელს ვეღარ მიაღწიოს...

აღმოსავლეთ აფხაზეთში დეპუტატებად აირჩიეს: თავად-აზნაურობამ—თავადი ალექსანდრე შერვაშიძე და აზ. კაჭოს (იგივე ალექსანდრე) მარღანია, ხოლო გლეხობამ—ნესტორ სამკაია, ჭაბაკ აშბა, დიმიტრი გულია და რაზან შაკაია, ხოლო დასავლეთ აფხაზეთში—თავად-აზნაურობამ—თავადი ალხას ანჩაბაძე და აზნ. მაჭან ლაკერბაია, გლეხობამ კი—ალექსი ლადარია და კობლუხ ჭიკირბა.

ესენი უკვე მომზადებულნი არიან და იმედოვნებენ, დღეს თუ ხვალ, მთავრობა მოგვიწვევსო...

ალი-მურზა-ხელიმ-ოღლი.

უცხოეთი

გერმანიაში მუშების საკვირაო დასვენება. ფრანკფურტის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა ყველა ქარხნის მუშებისათვის კვირაობით სრული დასვენება შემოიღოს. გერმანიაში ეს პირველი მაგალითია.

ჟორესისა და ბებელის შეხვედრა. რადგან ჟორესსა და ბებელს ვერც პარიზსა და ვერც ბერლინში ვერ მოუხდათ შეხვედრა, ინგლისის მუშებმა შემოუთვალეს—ლონდონში გვესტუმრეთო. ეჭვი არ არის, თავისუფალ ინგლისში ხელს არ შეუშლიან ორს ცნობილ სოციალისტის შეხვედრას.

ინგლისის მუშათა გაჭირვება და მინისტრი ბალფური. ინგლისის მინისტრ ბალფურს მთელი საზოგადოება და პრესსა სასტიკად ჰკიცხავს. ბალფურმა უარჰყო პროექტი, რომლის ძალითაც მთავრობა ვალდებული ხდებოდა, უსაქმოდ დარჩენილ მუშათათვის სამუშაო აღმოეჩინა.

მუშათა ინტერესების დამცველი წარმომადგენელნი მთავრობას ემუქრებიან: თუ ამ პროექტს არ შეიწყნარებთ, აჯანყებას მოვახდენთო. თუ კი მანჩესტერისა, ლეისტერისა, ლივერპულისა და ნიუკასტლის უსაქმოდ დარჩენილ მუშათა ოჯახებს ეხმარება მთავრობა, რატომ ეს ლონდონმა კი არ უნდა იკისროსო. ამ კვირაში უსაქმოდ დარჩენილი მუშა-ქალები დიდს მანიფესტაციას მოახდენენ. მათი დეპუტაცია ბალფურს ესტუმრება საზოგადოებათა პალატაში და დაბეჯითებით მოსთხოვს პროექტის მიღებას. ამ წლის თავიდანვე თითქმის ერთი მილიონი უსაქმოდ დარჩენილი მუშა-ხელი სარგებლობს მთავრობის შემწეობით.

მოგზაური სკოლა. გერმანიაში, კიოლნის გამგეობამ ახალი ტიპის სკოლა შემოიღო. სკოლას მიზნად საოჯახო საქმე და მეურნეობის შესწავლება აქვს. მასწავლებლებად ქალები არიან. ესენი რწმუნებულ სოფლებს რიგ-რიგად ჩამოუვლიან, სოფლის ქალიშვილებს მეურნეობაზე ოჯახის მოწყობისა და უფასო ლექციებს წაუკითხავენ და აქვე სანიმუშო სამზადისს გააკეთებენ. ამ გვარად, კიოლნის გამგეობას ჰსურს სოფლის ქალიშვილებს დიასახლისობა მეცნიერულად შეასწავლოს და დამზოგველობით საოჯახო ხარჯები რამდენისამე მილიონებით შეამცირებინოსო. მასწავლებელ ქალებს წლიურად 1,800 გერ. მარკა აქვთ ჯამაგირად (900 მანათამდე). სოფლის ქალიშვილები დიდის ხალისით ესწრობიან ამ ლექციებს. მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს კურსები თვალსაჩინო ნაყოფს გამოიღებენ.

გერმანელ არქეოლოგს კარლ კაუფმანს ლიბიის უდაბნოში **ძველი ქალაქის ნანგრევები** აღმოუჩენია. ეს ქალაქი მეცნიერებისათვის აქამდე სულ უცნობი იყო. ნანგრევებში აუარებელი კერპები უპოვიათ.

ინგლისელ მოგზაურს ჯემს ლაარჩს ვოლგაზე უმოგზაურნია და ამბობს, რომ **ვოლგა-სიმღერათა მდინარეა.** „ვოლგაზე,—ამბობს ინგლისელი,—ხალხი სიმღერაში ამოიკვნესის გულის დუღილს. აქ მღერის ყველა: მღერის მტვირთავი, მღერის ნავოსანი, მღერის თვით ვოლგა. არ მესმოდა სიტყვების აზრი, სიმღერა კი გულში ჩამწვდა, თვალ წინ დამიყენა რუსეთის დღევანდელი სევდიანი, მწუხარე, სასოწარკვეთილი და ხან ქარტეხილად მობობოქრე სიცოცხლე... მხიარული კილო არსად მსმენია... ლაარჩის აზრით, სიმღერასა და მის კილოში მთელი ხალხის სული ამოვიკითხეთო.

გერმანიის ფლოტი და იმპერატორი ვილჰელმი. როდესაც გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი კილზე იმყოფებოდა, გერმანიის ყველა სამხედრო გემებმა იქ მოიყარეს თავი. იმპერატორმა იახტა „ჰოჰენცოლერნით" ჩაუარა დარაზმულ გემებს. ყველა ჯავშნოსნები დროშის აფრიალებით სამხედრო სალამს აძლევდნენ. ერთმა კრეისერმაც აფრიალა დროშა. იმპერატორი გასწყრა, განრისხდა. მის მახვილ თვალს არ გამოეპარა, რომ დროშა ჭუჭყიანი იყო. სწრაფად აგრინა აფიცერი კრეისერზე ამ თავხედობის გამოსაძიებლად. აღმოჩნდა, რომ მეზღვაურთ ბაქანის საწმენდი ტილო აეშვათ დროშის მაგიერ. ამით სურდათ, თურმე, იმპერატორის ყურადღება მიექციათ, რომ მიზეზი მისცემოდათ, შეეჩივლათ მისთვის კაპიტანის უდიერი მოპყრობა.

ვილჰელმ გასწყრა, მეზღვაურნი პასუხის გებაში მისცა და ბრძანა:

— ეგ კრეისერი აღარ დამენახოს, გამაცალეთო!..

მეორე დღეს კაპიტანმა ბარათი მიიღო: „მოწყალეო ბატონო, მის უდიდებულესობას თქვენი სამსახური აღარა სურსო".

ჟენევის პრესსა და რუსეთის ამბები. ჟენევიდან „რუსკ. ვედომოსტ." კორესპონდენტი, სხვათა შორის, სწერს: ადამიანს თვალში ეცემა ის უფსკრული, რაც შვეიცარიისა და რუსეთის ცხოვრებას შუა ძევს. აქ მშვიდობიანი კულტურული ცხოვრება, მოქალაქეობრივი კეთილ-დღეობა, მანდ—სამშობლოში აღრეულობა, შფოთი... აიღებ აქაურ გაზეთს—სულით ისვენებ, ზნეობრივ კმაყოფილდები. მაგრამ ჩახვალ „რუსეთის არეულობასთან (ees troubleseu Russie) და გულ შემოგეყრება: გაფიცვა, მშვიდობიან მკვიდრთა ჯართან შეტაკება, ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარა, ადამიანის სიცოცხლე გროშადაც აღარ ფასობს, გაძლიერებული დაცვა და სამხედრო წესები გამეფებულა, აგრარიული მოძრაობა, მოსალოდნელი დამშევა, აუცილებელი სენი და ჭირი, მობილიზაცია და სხ. და სხ. ამის წამკითხველს გული გიკვდება.

კორესპონდენცია

დ. ცხინვალი. 11 ივლისს, დილით, გვესტუმრა თავ. ამილახვარი. მას თან მოსძღოდა ხმალ-ამოღებული კაზაკ რუსები და მოჰყვა დრაგუნის პოლკიც. ხალხი გარეშე სოფლებიდან მიწერილობისამებრ თითო-ოროლა ჩამოვიდა. თავ. ამილახვარმა დიდი საუბარი გამართა. სთხოვდა, რომ ჩემ მაგივრად გარდაეცითო გლეხობას, დამშვიდდნენ, თორემ ცუდი დღე მოელითო. ის კაცები, რომელნიც ამილახვარს წარუდგნენ, თავისივე ხარჯით გაამგზავრა ტფილისს, ნამესტნიკთან.

ბევრმა სამამასახლისომ არც ერთი ამორჩეული კაცი არ გამოგზავნა. იმ საზოგადოებათ, რომელთაც ამორჩეულნი არ გაუგზავნეს, თავ. ამილახვარი ძლიერ დაემუქრა და ეგზეკუცია გაგზავნა.

საუბრის დროს ერთი ხელ-მოკლე კნიაზი ავალიანი, თავის გრძელის ხანჯლით, წარუდგა და სთხოვა, მიშველეთ რამე, მოსაკლავად დამდევენო. ამილახვარმა უპასუხა: რა ვუყოთ, მეც ბაქოდან მოკიდებული დღემდე მიპირობენო მოკვლას; შენს თავს მოუარე, ხანჯალი გაქვს და იარაღიო. გულ-დაწყვეტილი ავალიანი თოფნაკრავივით უკანვე გამობრუნდა. ამილახვარი ცხინვალიდან იმავე დღეს დაბრუნდა.

მეორე დღეს, როდესაც ამორჩეული კაცები უნდა წასულიყვნენ გორისკენ, ბედოთის მამასახლისი დ. შიუკაშვილი მიუძღოდა წინ, მაგრამ, როგორც კი გასცდა რამდენისამე ნაბიჯს, ვიღაცამ თოფი ესროლა და მამასახლისი იქვე უსულოდ დაეცა. მსროლელი მიიმალა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს.

ქარ-ცეცხლი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 ივლისი.

გოძიადანი. ნიკოლაევსკში 11 ივლისს ისმოდა სახალინის მხრიდან დიდ ზარბაზნების გრიალი.

ოისტერბეი (ვაშინგტონის ახლოს). იაპონიის ელჩი ტაკახირა რუზველტს ეწვია და ეთათბირა ზავის შესახებ. ამბობენ, რუზველტი ბარონ კომურას ოფიციალურ აუდიენციაზე მიიწვევსო.

პეტერბურგი. ვიტტე მოვიდა ნაშუადღევის 4 საათზე. 8 საათზე გემ „კაიზერ ვილჰელმით" გაემგზავრება.

ტოკიო. ოსაკას ცნობა მოვიდა, რამდენიმე ათასი იაპონელი რუსის პოზიციებს ებრძვისო მდინარე ტუმენთან.

სიბიაძა. ჩინელები ირწმუნებიან, ეხლა იაპონელები ვეღარ გაბედავენ წინ წაწევას, რადგან ნორჩს, ნახევარ კორეველთაგან შემდგარს, ჯარს ვერ ენდობიანო. მანდარინის გზასთან 150 იაპონელ ცხენოსანს რუსებმა ცხარე ცეცხლი დააყარეს. სოფელ ლანსოუნჩენძისთან 200 იაპონელი ცდილობდა სოფლის ჩრდილოეთიდან შემოპარულიყო, მაგრამ ჩვენმა მსროლელებმა უკუ აქციეს. სოფელ იანძიტიანთან ჩვენს რაზმს შეტაკება ჰქონდა 250 ხუნხუზთან, რომლებიც უკუ იქცნენ და 10 მოკლული დასტოვეს.

ნიუ ჯუანი. მიშჩენკო განუწყვეტლივ აწუხებს იაპონელების მარცხენა ფრთეს. 8 ივლისს დიდი ბრძოლა იყო ფაკუმინის ჩრდილოეთად, 25 მილის სიშორეზე.

გოძიადანი. იაპონური გაზეთები ამბობენ, სახალინის გარდა, საჭიროა შემოგვიერთდეს უსურიის მხარე რკინის გზამდე, [illegible] ნიკოლაევსკსა და ვლადივოსტოკს და თავისუფალ ვაჭრობის ნება ჰქონდეს ყველა უცხოელს ამურზეო.

მოსკოვი. აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დამდეგს მოსკოვში კრება ექმნება ქალაქთა წარმომადგენლებს ახალ საქალაქო დებულების შესამუშავებლად.

ელისავეტგრადი. საერობო გამგეობის თავმჯდომარის თაოსნობით, აგვისტოში მემამულეთა კრება იქმნება თავად-აზნაურთა და გლეხთა ურთიერთ დამოუკიდებლობის გასაუმჯობესებლად ეკონომიურ ნიადაგზე. კრება გაითვალისწინებს სოფლის საერთო მდგომარეობას და თავის მოსაზრებას უმაღლეს მთავრობას წარუდგენს.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო დანაშაულობათა შესახებ კანონებში, რომელიც გამოცემულია 1904 წლის 7 ივნისს, შეცვლილ და დამატებულ იქმნა ზოგიერთი მუხლები.

სტოკჰოლმი, 13 ივლისი. რიკსდაგმა საგანგებო სხდომაზე განიხილა ნორვეგიის საქმეთა კომისიის მოხსენება და დასთანხმდა მისს უფრო მნიშვნელოვანს დასკვნებს.

პარიზი, 14 ივლისი. ვიტტე დილით გამგზავრა და მატარებლის დაძვრამდე დიდხანს ესაუბრა ნელიდოვსა და კასსინის, რომელთაც მიანდო საფრანგეთის მთავრობისათვის მადლობის გამოცხადება გულწრფელ გამასპინძლებისა და სტუმართ მოყვარეობისათვის. როდესაც ვიტტე გარეშე საქმეთა სამინისტროში ინახულეს, რადოლინიც თან ახლდა და რუვიეს ერთს საათს ესაუბრა. მთავრობის დაახლოვებულნი არაფერს ამჟღავნებენ. როგორც ეტყობა, მაროკოს შესახებ ზოგიერთი წვრილმანი საქმეები ჯერაც გადაუწყვეტელია, მაგრამ მაინც საქმის გამწვავების ფიქრი არ არის.

დროებით რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან დანიშნა ვაჭრობა ამ წლის 15 ივლისს იჯარით გასაცემად ქალაქის მიწის სამის ნაჭრისა, მე-10 საპოლიციო ნაწილში, ტფილისის დამოუნასთან: პირველი 189,17, მეორე 245,5 და მესამე 251,25 ოთხკ. საჟ. ამ ადგილებზე იჯარადარს შეუძლიან საწყობები გამართოს შეშისა, შენობის მასალისა და სურსათისა. პირობების გაგება შეიძლება ყოველ საქმის დღეს გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1½ საათამდე. (3—3)

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.